კვირეული „ვერსია“

ვერსია

№24 (1614) 22 – 28 ივნისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორი იყო სამედიცინო სერვისების უწყვეტობა პანდემიის დროს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა – რა ხარვეზები გამოვლინდა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში

„ჩემი საქართველო აქ არის“ ანუ 20 ივნისიდან 20 ივნისამდე

რატომ არ ახსენეს წლევანდელ აქციაზე გახარია

ბუანიას მრჩეველი ქართული ფესვებით – ვინ არის ალექსანდრე მირელი და რა კავშირი აქვს ძმებ მირელაშვილებთან

„რუსები ხვდებიან, რომ საჭიროა აფხაზების საბოლოო დაჩოქება და მორალური განადგურება“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„გარყვნილების ბუდე ევროპა კი არა, რუსეთია!“

რატომ სჯობს ჩრდილოეთს დასავლეთი – გია ბუღაძის არგუმენტები

„ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი“ – ირაკლი ღარიბაშვილი ყატარის ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოვიდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ყატარის სახელმწიფოს დედაქალაქ დოჰაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, სადაც მაღალი დონის ეკონომიკურ ფორუმს დაესწრო. ფორუმი ყატარის ემირის პატრონაჟითა და Bloomberg-ის ორგანიზებით იმართება.

ფორუმზე პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა.

„უსამართლოა, მაგრამ გვესმის და ევროპელი ლიდერებისგან გავიგეთ, რომ მათ გადაწყვიტეს მიენიჭებინათ სტატუსი უკრაინისთვის იმიტომ, რომ უკრაინა არის ომში, მოლდოვაც ძალიან მჭიდრო მეზობელი ქვეყანაა და ისიც ძალიან რთულ სიტუაციაშია, ეკონომიკური, უსაფრთხოების საკითხები ზედაპირზე აქვს. თუ შევადარებთ საქართველოს მუშაობას, ჩვენ რეფორმებს, ყველაფერს დამსახურებულად თუ შევხედავთ, რა თქმა უნდა, საქართველო იქნებოდა პირველი ქვეყანა, რომელსაც მიენიჭებოდა ეს სტატუსი, რატომ? იმიტომ, რომ ძალიან კონკრეტული შედეგები გვაქვს, ძალინ კონკრეტული მუშაობა აწარმოა ჩვენმა ქვეყანამ, მაგრამ სამივე ერი არის ევროპული პერსპექტივის მქონე, ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება ევროკავშირის, რადგან ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და ბუნებრივია, მას მოჰყვება სტატუსი გარკვეული პირობებით“, – განაცხადა პრემიერმა ფორუმზე და დასძინა, რომ პირობები სამივე სახელმწიფოს განესაზღვრა.

„როგორც ვთქვი, გავიგეთ ოფიციალური პოზიცია ევროპელი ლიდერების, მაგალითად, პრეზიდენტმა მაკრონმა ბრძანა საჯაროდ რამდენიმე დღის წინ, ევროკავშირმა გადაწყვიტა მიენიჭებინა უკრაინისთვის სტატუსი იმიტომ, რომ ომშიაო, ეს არის წახალისება, ეს არის ბონუსი უკრაინისთვს“, – თქვა პრემიერმა.

ამასთან, პრემიერმა ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც არ დაუწესა ეროვნული ეკონომიკური სანქციები რუსეთს.

„ჩემთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რომ ვისაუბრო იმ გამოწვევებზე, რომელიც განსხვავებულ სამყაროში გვამყოფებს. ჩვენ ვხედავთ, როგორ ხდება წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის გადაწყობა. უკრაინამდე იყო საქართველო. 2008 წელს, რუსეთი შემოიჭრა საქართველოში და რუსეთმა მოახდინა ჩვენი ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია. დღემდე ოკუპირებულია ოცივე პროცენტი და რუსეთის ჯარები ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებიან. შესაბამისად, მათთან ერთად ვთანაცხოვრობთ. ეს არის მიმდინარე ოკუპაცია. მინდა, ყველას გავახსენო, რომ იმ დროს, 2008 წელს, მსოფლიოში არავის საკმარისი ყურადღება არ გამოუხატავს, სიმართლე რომ ვთქვათ. სუვერენული სახელმწიფო, დამოუკიდებელი სახელმწიფო რუსეთის აგრესიის წინაშე აღმოჩნდა და არანაირი ადეკვატური, სწორი რეაქცია არ ჰქონია მსოფლიოს. არანაირი სანქციები არ დაუწესდა რუსეთს, არაფერი არ მომხდარა. ამიტომ, 2014 წელს, მსოფლიოს გაუკვირდა, როდესაც ყირიმის ანექსია მოხდა. სულ ახლახან, 2022 წელს, დავინახეთ სრულმასშტაბიანი შემოსევა უკრაინაში რუსეთის მხრიდან. რომ ვუპასუხო თქვენს კითხვას, სად არის საქართველო მოცემულ სიტუაციაში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ოკუპირებულია და რუსეთის ჯარებთან ვთანაცხოვრობთ ჩვენს ტერიტორიაზე, გახსნილად რომ ვთქვათ, ჩვენ ვართ მოწყვლადი ამ სიტუაციაში. რა თქმა უნდა, გვაღელვებს ჩვენი ერის უსაფრთხოება.

პოლიტიკურად, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ უკრაინას ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე – გაერო, ეუთო, 260 რეზოლუციას მივუერთდით. რა თქმა უნდა, საერთაშორისო, ფინანსური, გლობალური სისტემების წევრი ვართ და ერთ-ერთი ნათელი მაგალითი ამისა ის არის, რომ რეაქცია იყო ადეკვატური. ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვთქვით საჯაროდ, რომ ინდივიდუალურად კომპანიებს არ ექნებათ სანქციების გვერდის ავლის საშუალება. ერთ-ერთი მათგანი იყო ვითიბი ბანკი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მთავრობასთან ერთად, ერთ კვირაში ვმართეთ ეს საკითხი და გადავწყვიტეთ, მაგრამ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ ჩვენ, ქართველები, ეროვნულ, ეკონომიკურ სანქციებს ვერ დავუწესებთ რუსეთს ძალიან ბუნებრივი მიზეზის გამო, რადგან ჩვენი ეროვნული ინტერესები გაგვაჩნია. ჩვენი საკუთარი უსაფრთხოების გამოწვევები, ეკონომიკური გამოწვევები. ამიტომ, ეს არის ჩვენი მოტივაცია.

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც არ დაუწესა ეროვნული ეკონომიკური სანქციები რუსეთს. იმ საფრთხეების, იმ სისუსტეების გამო, ვერ ნახავთ ბევრ ქვეყანას, რომელსაც რუსეთი უწევს ოკუპაციას. მე, როგორც მთავრობის მეთაური, უნდა ვფიქრობდე ჩვენი ხალხის უსაფრთხოებაზე. რა თქმა უნდა, პოლიტიკურად, ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად ვდგავართ, სრულ კოორდინაციაში ვიმყოფებით საერთაშორისო პარტნიორებთან – ამერიკელ, ევროპელ პარტნიორებთან ერთად. ამიტომ, ეს არის ჩვენი პოზიცია. მაგალითად, მოლდოვა, კიდევ ერთი ქვეყანა ასოცირებულ ტრიოში, მან არ დაუწესა ეკონომიკური სანქციები რუსეთს ძალიან ბუნებრივი მიზეზების გამო“, – აღნიშნა პრემიერმა.

„საქართველო მიიღებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს“ – ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება მთავრობის სხდომაზე

„მინდა, რამდენიმე სიტყვით მივმართო ჩვენს მოქალაქეებს. 17 ივნისს, ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება – პირველად გაჩნდა ისტორიული ჩანაწერი, რომ ევროკავშირი, ევროკომისია ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა და როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა ქალბატონმა ურსულამ განაცხადა, ევროპამ კარი გაუღო საქართველოს, ეს ნამდვილად არის ისტორიული გადაწყვეტილება“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 20 ივნისის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ის რეკომენდაციები, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს, ისედაც იყო ხელისუფლების დღის წესრიგში ჩაწერილი, თუმცა არის სხვა საკითხებიც, რასთან დაკავშირებითაც მუშაობა გაგრძელდება ბრიუსელთან და საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს.

„ვულოცავ თითოეულ ქართველს ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას. მეორე, რაც ასევე ევროკომისიამ თავის რეკომენდაციაში ჩაწერა და მიმართა საბჭოს არის შემდეგი – საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, როგორც კი პრიორიტეტები და პირობები შესრულდება. ახლა, როგორც კი დაამტკიცებს საბჭო აღნიშნულ რეკომენდაციებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე დავიწყებთ მუშაობას ბრიუსელთან. მინდა, განვმარტო მოქალაქეებისთვის, რომ ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი ისედაც იყო ჩვენს დღის წესრიგში ჩადებული, არის სხვა საკითხები, რომლებსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ბრიუსელთან გავარკვევთ, ვიმუშავებთ და მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. მინდა აქვე, ჩვენს მოქალაქეებს განვუმარტო, ვინაიდან ვიცი, რომ მოქალაქეების უმეტესობას გარკვეული კითხვები დარჩა, თუ რატომ აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, უფრო მეტად წახალისებული მოლდოვა და უკრაინა და მინდა, ავუხსნა ჩვენს მოქალაქეებს შემდეგი: მოლდოვას და უკრაინას აქვს აბსოლუტურად იდენტური ჩანაწერი პერსპექტივასთან დაკავშირებით ანუ მათაც ჩაუწერეს, რომ საბჭოს მიმართავს რეკომენდაციით ევროკომისიას, რომ მათ მიენიჭოთ სტატუსი, პერსპექტივა და ასევე სტატუსი ანუ, რეალურად, სტატუსს აძლევენ ავანსად. ეს არის წამახალისებელი ავანსი უკრაინისთვის, რომელიც არის უმძიმეს ომში და მოლდოვასთვის, რომელიც არის ასევე ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ამავდროულად, მათაც სთხოვენ, მოსთხოვენ მთელი რიგი რეფორმების გატარებას. ჩვენს შემთხვევაში, პირიქითაა, ჯერ უნდა შევასრულოთ ყველა ის პირობა, რომელიც არის დადებული, ეს რეფორმები განვახორციელოთ, პრიორიტეტები განვახორციელოთ და, რა თქმა უნდა, საქართველოს ამის შემდეგ მიენიჭება სტატუსი“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სწორედ „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა ყველა ის ხელშესახები მიღწევა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას.

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ უკრაინა უმძიმეს ვითარებაშია. ტერიტორიების 20% უკვე დაკარგული აქვს და ომი გრძელდება. ასევე, მოლდოვაც არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, თუ ვინმე დაზარალდა ამ ომით, ერთ-ერთი პირველი მოლდოვაა, ვინაიდან, მოსაზღვრე სახელმწიფოა და ძალიან ბევრი ნაკადი იყო დევნილების, ლტოლვილებისა და უამრავი, როგორც ეკონომიკური, ასევე, უსაფრთხოების რისკები გაეზარდა მნიშვნელოვნად მოლდოვას. გახსოვთ, წინა კვირას მე საჯაროდ ვთქვი, რომ ჩვენი ევროპელი კოლეგები მეუბნებოდნენ და მეც ღიად ვთქვი, რომ უკრაინას აძლევენ ამ სტატუსს იმიტომ, რომ იგი არის ომში. თქვენ ნახეთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ევროპელი ლიდერები უკვე საჯაროდ ადასტურებენ ამ ფაქტს, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმიტომ, რომ უკრაინა არის ომში და ჩემთან პირად საუბრებში, ასევე, უთქვამთ, რომ მოლდოვაც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ასე რომ, ნამდვილად არ მშურს არც უკრაინის, არც მოლდოვის. მინდა, მივულოცო ჩვენს უკრაინელ და მოლდოველ მეგობარ ხალხს ეს წარმატება. მინდა, მათ ვუსურვო მშვიდობა და ქვეყნის გაერთიანება.

ასევე, მინდა ვუთხრა ჩვენს ძვირფას ხალხს, რომ სწორედ „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა ყველა ის ხელშესახები მიღწევა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას და მე რამდენიმეს შევახსენებ ჩვენს ხალხს: ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ახლა უკვე – ევროპული პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსი. ეს ყველაფერი უკავშირდება „ქართული ოცნების“ მმართველობას. დიდი მადლობა, ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მშვიდობას და ქვეყნის გაერთიანებას“, – განაცხადა პრემიერმა.

„ჩემი საქართველო აქ არის“ ანუ 20 ივნისიდან 20 ივნისამდე

რატომ არ ახსენეს წლევანდელ აქციაზე გახარია

ნინო დოლიძე

„ჩემი საქართველო აქ არის“, – აი, სწორედ ეს ფრაზა ამეკვიატა 20 ივნისს, საღამოს, როცა რუსთაველზე შეკრებილ ათასობით თუ ათიათასობით თანამემამულეს ვუყურებდი. რა მნიშვნელობა აქვს, ვის მიერ იყო ორგანიზებილი ეს აქცია? ბოლოს და ბოლოს, განა, არ მოვიდა დრო, ერთმანეთისთვის „ამისტებ-იმისტების“ ძახილს თავი დავანებოთ და ქვეყანაზე ერთად ვიზრუნოთ?! მე თუ მკითხავთ, 20-ში სწორედ იმის დემონსტრირება მოხდა, რომ ყველანაირი პოლიტგემოვნების ადამიანი ქვეყანაზე ზრუნვით გაერთიანდა და მხოლოდ ევროპას კი არა, მთელ სამყაროს ნათლად დაანახა, რომ დიახ, ჩვენ, საქართველოს მოქალქეები – ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, რუსები და სხვანი და სხვანი, ჭეშმარიტად ევროპელები ვართ. დიახ, მთელ სამყაროს გავუგზავნეთ შეტყობინება, რომ ევროპა ჩვენი სახლია და ჩვენ, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მოსახლეობა ღირსეულ, ადამიანურ ცხოვრებას ვიმსახურებთ!

ზოგადად, ალბათ, ნებისმიერი პატარა ქვეყნის ბედისწერაა, რომ საკუთარი დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისთვის იბრძოლოს და იომოს. ამ მხრივ, გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველოა – მთელი ჩვენი ისტორია, სწორედ თავისუფლებისთვის ბრძოლის ქრონიკაა. ჩვენი წინაპრები, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ოდესმე მოვიდოდა დრო, როცა ბრძოლა საჭირო აღარ იქნებოდა. ასეთი განცდა, შესაძლოა, 80-იანი წლების ბოლოსაც ანუ მაშინაც არსებობდა, როცა ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, მაგრამ ვაგლახ, ჩვენი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა:

ჯერ იყო და, ეროვნული ხელისუფლება დავამხეთ და თბილისში ძმათა სასაკლაო მოვაწყვეთ.

მერე შევარდნაძე, რომელსაც თავის დროზე, მთელმა თუ არა ნახევარმა ერმა დაუჩოქა, არ წახვიდეო, შინ სულ კინწისკვრით გავაგდეთ.

მერე, მიშა მოვიყვანეთ, თან ისე მოვიყვანეთ, რომ „დაფნის გვირგვინიც“ კი დავადგით, მაგრამ მიშაც „უპარდონოდ“ მივაბრძანეთ და ახლა, ის ხელისუფლებაც აღარ მოგვწონს, 2012-ში, სულ მხსნელს რომ ვეძახდით.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ შიდაშუღლით მტერი, ამ შემთხვევაში, ჩრდილოელი მეზობელი კარგად ხეირობს და კლანჭებს უფრო და უფრო გვიჭერს.

მოდით, ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ დიახ, რუსეთი საქართველოს ბედისწერაა. ვიღაცებისგან ისიც მსმენია, დიახაც, სსრკ ძალიანაც კარგი იყო, არავის შიოდა და ყველა მუშაობდაო.

იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ საკვები და ფული არსებობისთვის აუცილებელია, მაგრამ იმ პატრიოტების გამკვირვებია, დავით აღმაშენებლის, ერეკლესა თუ სხვა გმირი მეფეების სადღეგრძელოებს განსხვავებული სასმისებით სვამენ, თან შიმშილზე წუწუნებენ და მზად არიან, კრემლს „ბაბაია“ დაუძახონ.

აბა, ერთი გამაგებინეთ, ეს რანაირი პატრიოტიზმია? პატრიოტიზმი კი არა, ეს, მომიტევეთ და, კუჭის სიყვარულია, კუჭისა, რომლის ამოსაყორადაც მავანნი მზად არიან, მონებად იქცნენ და მავანთ „ტურტლიანი“ ფეხები დაუკოცნონ!

ვამბობთ ხოლმე, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო, მაგრამ მეც, თქვენც და ტრიფონიამაც იცის, რომ ეს ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. სინამდვილეში, ქართველებსაც ისეთივე მანკიერებანი გვახასიათებს, როგორც მსოფლიოს დანარჩენ ხალხებს ანუ ჩვენც გვიყვარს პირფერობა, ღვარძლისგანაც არ ვართ თავისუფალნი და არც ის მოგვწონს, ვინმე კარგი თუ გამოგვერევა. აკი, დიდი კონსტანტინეც ამბობდა, ამ კარგს „ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ისიც სიმართლეა, რომ ევროპა ჩვენს მანკიერებებს არ შთანთქავს, მაგრამ სამაგიეროდ, ევროპა მოგვცემს იმას, რაც თითოეულ ჩვენგანს ძალიან გვინდა – ღირსეულ სამუშაო პირობებს, ღირსეულ ცხოვრებას, ერთი სიტყვით, ჩრდილოეთისგან განსხვავებით, ევროპა არც გვრყვნის და არც ქართველობას გვართმევს!

ბოლოს და ბოლოს, ევროპა დამოუკიდებლობაა, დამოუკიდებლობა, რომლისთვისაც დასაბამიდან ვიბრძვით.

სხვათა შორის, 20 ივნისის აქციის მერე, ადვოკატმა ზვიად კორძაძემ სოციალურ ქსელში დაწერა და აბსოლუტურად დავეთანხმე:

„ღამის ორი საათია. ეზოში ვზივარ. სიწყნარეა. მესის – ჩემი შვილივით ნაზარდი გერმანული ნაგაზის ხვრინვა ისმის ხანდახან.

რაღაცნაირად ვარ დღევანდელი აქციის შემდეგ. სახელს ვერ ვარქმევ.

ადამიანი სტადიონზე, მიტინგზე, საკონცერტო დარბაზში, რაღაც მომენტში, მასის ნაწილი ხდება. მაგალითად, როცა შენ გუნდს გოლი გააქვს და ყველას უხარია, გვერდით მჯდომ უცნობს შეიძლება გადაეხვიო, მაგრამ ეს ერთობა წამიერია. არ გიჩნდება სურვილი აუცილებლად გაიცნო და სადმე დაპატიჟო. მიტინგზეც შეიძლება გამომსვლელის მგზნებარე სიტყვამ „ჯოს, ჯოს“ გაძახებინოს სხვასთან ერთად, მაგრამ არც ეს ნიშნავს, რომ აუცილებლად საერთო ღირებულებები გაქვთ.

კარგ კონცერტზე ან სპექტაკლზე, შეიძლება, მთელ დარბაზთან ერთად, ტაშს უკრავდე აღფრთოვანებული, მაგრამ ეს, მაქსიმუმ, გემოვნების თანხვედრაა და მეტი არაფერი.

სხვანაირი აქცია იყო დღეს. მინდოდა ყველა გამეცნო, მადლობა მეთქვა, მერე მივხვდი, რომ არ იყო საჭირო, ყველას უსიტყვოდ ესმოდა ერთმანეთის.

მთელი ცხოვრებაა პასუხგაუცემელი კითხვები და აქედან დაბადებული შიში დამდევს :

როგორ ვერ მოვახერხეთ 1921 წელს თავისუფლების დაცვა?

რატომ არ შეაკვდა ყველა მტერს?

როგორ გააგრძელეს ცხოვრება?

2008-ში, შინდისის გმირებმა მომცეს უდიდესი იმედი, რომ ასე არასდროს მოხდება. ანწუხელიძე, ტატუნაშვილი, აფხაზეთის ციხეში გამოკეტილი ირაკლი ბებუა, უკრაინაში დაღუპული ქართველი ვაჟკაცები... ამ იმედს ასულდგმულებდნენ და აცოცხლებდნენ.

უნდა გამოვტყდე: ძალიან ჩაქრა და ჩაიბჟუტა იმედი, ბოლო თვეებია. ხშირად მახსენდებოდა 1921 წლის თებერვალი და ჩემი პასუხგაუცემელი კითხვები.

დღეს, რუსთაველზე, ქაშვეთის წინ მდგარი, როცა ვერც წინ და ვერც უკან თვალს ვერ ვაწვდენდი ქვეყნის მომავლის დასაცავად მოსულ ადამიანებს, მივხვდი, რომ არასდროს, არასდროს ამ ქვეყანაში 1921 წელი აღარ განმეორდება.

ვზივარ ეზოში. მესის გაეღვიძა. ხვდება, რომ რაღაც მიხარია და თვითონაც კუდს აქიცინებს და თვალებს ეშმაკურად მიჭუტავს. მგონი, დღეს საბოლოოდ მოვიშორე ერთი ყველაზე აკვიატებული – ამ ქვეყნის თავისუფლების დაკარგვის შიში!“

ჰო, რა თქმა უნდა, მართალია ზვიად კორძაძე – ამ ქვეყანას და თავისუფლებას არასოდეს დავარგავთ, არ დავკარგავთ, რადგან ჩვენი საქართველო აქ არის!

P.S. 20 ივნისის აქციას კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ და მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული პოლიტიკური ყაიდის ადამიანებმა გადადგეს ნაბიჯი ევროპისკენ, მაინც წაკბინეს და დაგესლეს, მაგრამ არა უშავს – „ვარდი უეკლოდ, ხომ, არავის მოუკრეფია“, თანაც საქართველო ამ ღვარძლიანებისაცაა და მათაც ისევე უყვართ სამშობლო, როგორც ჩვენ, ვინც დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ხსნა და გზა ევროპაშია!

ისე, რა ამის პასუხია და, ცხოვრება ერთობ უცნაურია: სამი წლის წინ, რუსთაველზე მიტინგი დაშალეს. სამი წლის შემდეგ, იგივე ადგილას, იგივე რიცხვში, ისევ ხალხი იდგა, ოღონდ გახარია ყასიდადაც არავის გახენებია...

ბჟანიას მრჩეველი ქართული ფესვებით – ვინ არის ალექსანდრე მირელი და რა კავშირი აქვს ძმებ მირელაშვილებთან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

აფხაზეთში დიდი სკანდალია – აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ახალი თანაშემწე, ალექსანდრე მირელი ეთნიკურად ქართველია, რაც თავად დე ფაქტო პრეზიდენტმაც დაადასტურა. ასლან ბჟანიას პრესსამსახური ახლადდანიშნულ პირს ახასიათებს, როგორც პატივცემულ პიროვნებას, რომელიც რუსეთში დაჯილდოებულია „მედლებით, საპატიო სიგელებით, მადლობისა და მისასალმებელი წერილებით“. ხაზგასმულია, რომ მან ჯილდო რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინისგან მიიღო.

აღმოჩნდა, რომ ალექსანდრე მირელი ადრე მირილაშვილი იყო. იგი სოხუმში დაიბადა და 1992 წელს, როდესაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაიწყო, საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მირელი იძებნება რუსეთში, ქართული დიასპორის ვებგვერდზე – kartvelebi.ru არსებულ ჩამონათვალშიც. იქ იგი წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

ის, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ლიდერს თანაშემწის სტატუსით ეთნიკურად ქართველი დაეხმარება, სოციალური ქსელებიდან გახდა ცნობილი. ოფიციალურად, ალექსანდრე მირელის დე ფაქტო პრეზიდენტ ბჟანიას ახალ თანაშემწედ დანიშვნის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. აფხაზეთის პრეზიდენტის პრესსამსახურს ჯერ არ გაუკეთებია ინფორმაცია, კონკრეტულად რას გააკეთებს მირელი და რა იქნება მისი უფლებამოსილება.

მირელი იყო არხანგელსკის ოლქის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე (2009-2012), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის, სტანისლავ გოვორუხინის თანაშემწე. მედიამ მას ყურადღება 2018 წლის ივნისში მიაქცია, როდესაც მისი ვაჟის, მორის მირელისა და სამშენებლო მაგნატის, ალექსანდრე ჩიგირინსკის ქალიშვილის, ირინა ჩიგირინსკის ქორწილი შედგა. მაშინ მედია წერდა, რომ პრემიერ-მინისტრის პრესმდივანმა, ნატალია ტიმაკოვამ ამ ქორწილში „ლეზგინკა“ იცეკვა – წერს „ჯემნიუსი“.

აღნიშნულ საკითხზე მეტი დეტალის გასარკვევად, „ვერსია“ კონფლიქტოლოგსა და ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

„რუსები ხვდებიან, რომ საჭიროა აფხაზების საბოლოო დაჩოქება და მორალური განადგურება“

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის არის ძმები მირელაშვილების ოჯახიდან. საკმაოდ მდიდარი ხალხია, მილიონერები არიან. მირელაშვილების ბოლო აქტივობა საქართველოში, ლესელიძის ქუჩაზე სინაგოგის რემონტში მონაწილეობა იყო, დაახლოებით, 2007 წელს. ისინი წარმოშობით ქუთაისიდან არიან და ბავშვობიდან პეტერბურგში ცხოვრობენ. ასე რომ, ეს ქართველი-ებრაელების ჯგუფია, რომელიც, პრინციპში, ატარებს გარკვეულ სიმბოლოს საქართველოსთან დაკავშირებით, მაგრამ ქართველები არ არიან.

ასე რომ, ის პრეტენზიები, რომელიც ადგილობრივმა ოპოზიციამ ასლან ბჟანიას წაუყენა, არის ტყუილი.

რაც შეეხება თავად ალექსანდრე მირელს, ის ძალიან აქტიურია რუსულ პოლიტიკურ სივრცეში. საკმაოდ საინტერესო თანამდებობები ეკავა... იყო გუბერნატორი არხანგელსკის ოლქში, დუმის სხვადასხვა დეპუტატის თანაშემწეც. რუსეთის სახელისუფლებო კორიდორებში ძალიან გარკვეული ადამიანია და დარწმუნებული ვარ, რომ სპეციალურადაა გამოგზავნილი, რათა გარკვეული კომუნიკაციური ქსელი შეიქმნას, უფრო უკეთესი, ვიდრე აქამდე იყო.

– რას გულისხმობთ?

– ვატყობთ, რომ აფხაზეთში მოსკოვში გაზრდილი ჩინოვნიკების რიცხვი იზრდება. ინალ არძინბას გარდა, რომელიც სურკოვის სკოლის გაზრდილია, სხვებიც არიან, მათ შორის, ახალგაზრდები, რომლებიც მოსკოვის სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებელში სწავლობენ. ისინი მოსკოვის ხალხად აღიქმებიან და როგორც ჩანს, რუსეთში აპირებენ, რომ შეცვალონ აფხაზეთის დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლება აბსოლუტურად პრომოსკოვური „ხელისუფლებით“, რადგან მოსკოვში მობეზრდათ აფხაზების მუდმივი პოზაში დგომა და რუსული ინტერესების შეზღუდულად გატარება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ამის გამო მოხვდა მირელი აფხაზეთში და მისი ქართველობა აბსოლუტურად გამორიცხულია, მით უმეტეს, – ქართული ორიენტაცია.

– ... ბატონო მამუკა, „ჯემნიუსის“ ინფორმაციით, სამჯერ გაიზარდა ტრანზიტული ტვირთის ოდენობა რუსეთიდან, აფხაზეთის გავლით, თურქეთის მიმართულებით... ამ საკითხზე ინფორმაციას ფლობთ?

– ტვირთების რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამაზე ლაპარაკი არც ღირს, რადგან აფხაზეთის საპორტო ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სერიოზული ტვირთების გატარებას. რასაკვირველია, ეს მაინც საინტერესო და ყურადღებამისაქცევია, მაგრამ ის, რომ თურქეთმა ჩაანაცვლოს საქართველოს ინფრასტრუქტურა აფხაზეთით, ეს სისულელეა. არ აქვს ამის საშუალება არც ოჩამჩირეს და არც სოხუმს.

– თქვენი აზრით, აფხაზი მოსახლეობა შეეგუება იმას, რომ რუსეთი პრომოსკოვური დე ფაქტო მთავრობის დანიშვნას აპირებს?

– მოაზროვნე მოსახლეობა ამას ძალიან განიცდის, შემგუებლებისთვის კი სულერთია, ხელისუფლებაში ვინ იქნება. ინტელიგენცია ძალიან განიცდის და არის ერთი აჟიოტაჟი სოციალურ ქსელში, ანტაგონიზმი რუსების მიმართ იგრძნობა, მაგრამ ეს „სამზარეულოს ანტაგონიზმია“ და ექსტრემალურ სიტუაციაში, მაინც იქით იხრებიან, თან იმ ფონზე, რომ საქართველოს მხარე არაფერს აკეთებს საზოგადოებრივი აზრის შესაცვლელად.

მიაქციეთ ყურადღება, როგორ ცდილობენ, მდგომარეობა შეცვალონ აფხაზეთში. ერთი ამბავი ატეხეს რუსეთის დუმის დეპუტატებმა იმის თაობაზე, რომ ვითომ აფხაზეთში იჩაგრება რუსული ენა. მოითხოვეს, რუსულ ენას სტატუსი გაეზარდოს აფხაზეთში. ეს ყველაფერი „ჭიქაში ქარიშხალია“, რადგან რუსულ ენას კი არა, აფხაზურ ენას აკლია სტატუსი აფხაზეთში და ამის თაობაზე სოციალურ ქსელში გაუთავებელი მსჯელობა მიდის.

– შესაძლოა, ეს მორიგი მუქარაა რუსეთიდან აფხაზების მიმართ, რომ ნაბიჯის გადადგმა არ გაბედონ საქართველოსთან ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით...

– რასაკვირველია, ინალ არძინბას განცხადება, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქართველოსთან ურთიერთობა და ეს აუკრძალეს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს; სასაზღვრო გამშვები პუნქტები მოხსნეს, რათა რუსეთთან „ინტეგრაციის პროცესი“ უფრო გაღრმავდეს და ა.შ. რუსულ ენაზე ლაპარაკიც ამ კონტექსტშია... მოკლედ, რუსები ხვდებიან, რომ საჭიროა აფხაზების საბოლოო დაჩოქება, მორალური განადგურება იმისთვის, რომ მათი პოლიტიკური მიზნები უფრო მარტივად იქნას მიღწეული. მით უმეტეს იმ ფონზე, რომ რუსეთს აღარ აქვს საშუალება, ფინანსური „ინექციები“ განახორციელოს აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, დღეს ამის თავი არ აქვთ.

– როგორ ფიქრობთ, ეს ადვილად მოსახერხებელია?

– კი, ჩვენი პასიურობის ფონზე, ამის გაკეთება ძალიან რთული არაა, მაგრამ ისეთი ხერხებით, რასაც ადრე რუსეთი იყენებდა, ძალისმიერი შეძახილებითა და მუქარით, რასაკვირველია, არ გამოვა. თუმცა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და როგორც ახლა ამას აკეთებენ, მცოცავი ანექსიის ფორმით, აუცილებლად გამოუვათ.

– მით უმეტეს აფხაზეთში არსებული რეპრესიების ფონზე... აფხაზ ტიკტოკერ დაურ ბუავას 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება, რადგან მას „აფხაზეთის საქართველოში შესვლის პროპაგანდაში“ ადანაშაულებენ.

– ბუავამ, პრაქტიკულად, გაილაშქრა წლების განმავლობაში, რუსებისა და სეპარატისტი აფხაზების მიერ აშენებული პოლიტიკის წინააღმდეგ და რასაკვირველია, ისინი შესაბამის ნაბიჯს გადადგამდნენ. კი არ ვამართლებ, მინდა, რომ საღი თვალით შევხედოთ. ამ კაცმა გადაწყვეტილება მიიღო და გადადგა ეს ნაბიჯი და ყოჩაღ, ბუავა! მაგრამ ერთი არაა საკმარისი, 100-200 ბუავა უნდა იყოს და ეს ქართულმა მხარემ უნდა შექმნას, მაგრამ არ ქმნის.

– თქვენი აზრით, რატომ?

– არ ვიცი. ეს კითხვა უნდა დავუსვათ იმ ცნობილი სამინისტროს წარმომადგენლებსაც, სადაც ვითომ ეს მიმართულება მიჰყავთ. ცოტა ხნის წინ ჰქონია გამოსვლა პარლამენტში და ისე მაინტერესებს, რაზე ილაპარაკა ახვლედიანმა. რაზე შეეძლო, ელაპარაკა იმიტომ, რომ ამ მიმართულებით, პრაქტიკულად, არანაირ საქმეს არ აკეთებს ეს სამინისტრო.

„გარყვნილების ბუდე ევროპა კი არა, რუსეთია!“

რატომ სჯობს ჩრდილოეთს დასავლეთი – გია ბუღაძის არგუმენტები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

17 ივნისს, ევროკომისიამ უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს შესახებ დასკვნა გაასაჯაროვა და ცნობილი გახდა, რომ ამ ეტაპზე საქართველო კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ვერ მიიღებს ანუ ევროკომისია ევროკავშირს უკრაინისა და მოლდოვისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას აძლევს, საქართველოსთვის კი ევროპის კარი ღია რჩება – კანდიდატი ქვეყნის სტატუსი იქამდე არ მოგვენიჭება, სანამ გარკვეულ პირობებს არ დავაკმაყოფილებთ... იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს მოსახლეობა ირჩევს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას, 20 ივნისს, თბილისში, მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზებით, აქცია გაიმართა... და მაინც, რატომ გვინდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ევროპა და არა – რუსეთი? – „ვერსია“ გია ბუღაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– პირველ რიგში იმიტომ, რომ ევროპა სამართლიანობა, გარანტია და სახელმწიფოებრიობაა. ევროპაში ბევრად უფრო დალაგებული ეკონომიკური ცხოვრებაა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ევროპა არის მშვიდობა. ევროპის ქვეყნები ერთმანეთს არც ტერიტორიულ პრეტენზიებს უცხადებენ, არც თავს ესხმიან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის უმაღლესი დონის განათლება, ევროპული განათლება განსაკუთრებულია... კულტურაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია იმიტომ, რომ რეალურად, მთელი ცივილიზებული სამყარო ევროპულ გამოცდილებაზე დგას, დაწყებული ძველი ათენიდან, რომით გაგრძელებული და ა.შ.

სამყაროში ყველაფერი დადებითი ევროპასთანაა დაკავშირებული.

საქართველო საკუთარ თავს ყოველთვის ევროპაში ხედავდა და ამის დამადასტურებელი ფაქტი ისტორიაში, თუნდაც ფარსმან ქველის ურთიერთობაა ანტონიუს პიუსთან – დიდი პატივით მიიღო ანტონიუს პიუსმა, ქანდაკებაც კი დაუდგა ჩვენს ფარსმან ქველს რომში.

ასევე, ცნობილი ფაქტია ვახტანგ გორგასლის ბიზანტიასთან, დასავლეთთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ თხემით ტერფამდე ქართველი იყო, მას სპარსული ფესვები ჰქონდა, თუმცა მაინც დასავლეთი უნდოდა.

დასავლეთთან ერთიერთობა ბაგრატ მესამესაც ჰქონდა, აღარ ვლაპარაკობ დავით აღმაშენებელზე და საბოლოო ჯამში, ყველა ჩვენს მეფეს და წარმატებულ ადამიანს დასავლეთთან უნდოდა კონტაქტი, მაგრამ ჩვენ ამ ურთიერთობის საშუალება რუსეთმა იმიტომ ჩაგვიკეტა, რომ ჩვენს მიმართ გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა. მას შემდეგ თერგდალეულები, ჩვენი გმირი ადამიანები, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, მოკლედ, ყველანი ცდილობდნენ, ევროპულ სამყაროს შეერთებოდნენ. ისინი ამას კი არ იგონებდნენ, არამედ, ისედაც ევროპა ვიყავით და ვართ.

სხვათა შორის, აბო თბილელის ცხოვრებაში, იოანე საბანისძე საქართველოს ასე მოიხსენიებს – „ყურეი ქვეყნისაი“. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს განათლებული, კულტურული სამყაროს ყურე იყო საქართველო, ევროპის ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც იცავდა ევროპულ ფასეულობებსა და ღირებულებებს დიდი არაბობის პერიოდში.

ხედავთ, როგორ ვართ გადაჯაჭვული ევროპასთან? – ჩვენი პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, თავიდან ბოლომდე, გამსჭვალულია ევროპული სულით და თვითონ ბადებს ევროპულ სულს იმიტომ, რომ ჩვენგანაა ბევრი რამ წაღებული, ჩვენ გადავეცით ევროპას ძალიან ბევრი სიბრძნე, რომლითაც ამაყობდა.

ამის მეტაფორული მაგალითია „ოქროს საწმისი“... რეალურად, თავიდან ბოლომდე, თხემით ტერფამდე ევროპელები ვიყავით და ჩვენგან იბადებოდა ეს იმპულსები დასავლეთში. ნამდვილი ევროპული რენესანსი ჩვენს წიაღში დაიბადა... თუ არ გამაჩერებთ, ძალიან ბევრს ვისაუბრებ (იცინის)...

– მინდა, რომ ბევრი ისაუბროთ ყველაფერ ამაზე, ბატონო გია, ამიტომ არ შეგაწყვეტინებთ...

– ჩვენი მხატვრობა მთელი არსით ბიზანტიური იყო, ჩვენ გვაქვს ხელოვნების გენიალური ნიმუშები, ბიზანტიური მხატვრობის შედევრები, რომელიც რა თქმა უნდა, ევროპულია და ჩვენია. ყინწვისის ფრესკები, ყოვლად გენიალური, რომელსაც არ ვუვლით; ვარძიის ფრესკები, ფანტასტიკა, რომელსაც ვერ ვუვლით... ატენის სიონის, ტიმოთესუბნის გენიალური მხატვრობა... რომელ ქვეყანას აქვს ასე მორგებული ჯვრის ტაძარი მთაზე, როგორც ჩვენ გვაქვს?! ეს პატარა, საოცარი ტაძარი მთას კვარცხლბეკად იყენებს. ბევრი ტაძარი მაქვს ნანახი, ნახევარი მსოფლიო მაქვს მოვლილი, მაგრამ ასეთი არსად მინახავს...

ასე რომ, ჩვენს წიაღში ვბრუნდებით, საქართველო უბრუნდება თავის შვილებს, რომლებიც თავის დროზე დაბადა. ფაქტობრივად, მამა ბრუნდება სახლში. მე ყოველთვის მაოგნებს მეფე არტურის მახვილის სახელი – „ექსკალიბურ“, ე.ი. ხალიბთა ნაქონი. ხალიბები კი ქართული ფოლადის დამამუშავებელი ხალხია და სიტყვა „ყალიბი“ აქედან მოდის. ხედავთ, რა კულტურა ვართ? აქ კი ვიღაც-ვიღაცები საყდრისს აფეთქებენ – წაშლა უნდათ ჩვენი ფესვისა, მაქედან ოქრო სად მიდიოდა, იცით? – ეგვიპტესა და შუმერში... რეალურად, ჩვენ მსოფლიოს ვამარაგებდით ჩვენი კულტურით და განსაკუთრებით, ევროპულ ცნობიერებას...

მზიასა და ზეზვაზე აღარაფერს ვიტყვი, შორს რომ აღარ წავიდეთ. მოკლედ, რეალურად საქართველო არის მამა ევროპისა, რომელიც ბრუნდება სახლში.

– ბატონო გია, ამბობთ, რომ საქართველოსა და ევროპას შორის რუსეთი ჩადგა და ეს დღემდე გრძელდება, რისი გამოხატულებაც რუსული პროპაგანდაა. დღესაც ზოგი ჩვენი თანამოქალაქე ადვილად ებმება რუსეთის პროპაგანდულ ხაფანგში. როგორ დავიცვათ თავი რუსული პროპაგანდისგან?

– რუსული წესით ცხოვრება ძალიან იოლია, ესაა კორუფცია, გაიძვერობა, ჩაწყობა, ჩალიჩი... მიზანში მორტყმა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე – აცდენა, რუსეთი კი გთავაზობს, რომ ყველა წესი და კანონი დაარღვიო... ეს სისტემა, თავიდან ბოლომდე, აწყობილია ავტორიტარიზმზე, ფაქტობრივად, რუსული ცხოვრების წესი ანტისახელმწიფოებრივი ცნობიერებაა... ეს ჩვენი ცნობიერება არ არის, მაგრამ ცოტა ზარმაცი ხალხი ვიყავით იმიტომ, რომ გაგვათამამა ჩვენმა ფანტასტიკურმა ბუნებამ... ჩვენ ხომ ბუნებამ საუკეთესო გარემო გვაჩუქა? – ფაქტობრივად, მიწიერ სამოთხეში ვცხოვრობთ და ამან ცოტა მოგვადუნა. რუსმა კი გვითხრა, მოდი, შემეკარი და მოგაპარინებ, მაგრამ მერე ხმა არ ამოიღო, თორემ მოგიბრუნდები და დაგსჯიო. ეს უბედურება ჩაილექა ჩვენში და რომ ამბობენ ხოლმე, რუსეთის ჯარი შემოვაო... არსად არ შემოვა, ისედაც შემოსულია დღევანდელი ხელისუფლების სახით.

რაზე დგას რუსული ძალაუფლება? – ავტორიტარიზმზე. ერთი ავტორიტეტია, რომელიც სიტუაციას ფლობს და არც ერთი ინსტიტუცია დამოუკიდებელი არაა. ნახეთ, რა დღეშია განათლების სისტემა და ზოგადად, ინსტიტუციების მოშლა რუსული გეგმის ნაწილია.

როცა ყველაფერი მოშლილია, ხარ ჭაობში.

კიდევ ერთ ანალოგს მოვიტან ისტორიიდან – ქართველები ვამაყობთ დავით აღმაშენებლით, მაგრამ თამარ მეფე გვირჩევნია. მეც მიყვარს თამარ მეფე, არ შეიძლება, რომ არ მიყვარდეს, მაგრამ თამარი ასოცირდება განცხრომასთან, მოდუნებასთან, დავით აღმაშენებელი კი ქმედებასთან. გადახედეთ მის მოღვაწეობას, სულ მოძრაობს, დღე და ღამე მუშაკობა აქვს ქვეყნისთვის. რთულია დავითის გზით ცხოვრება და ჩვენშია მოდუნება, რაც გენიალური ფორმით აღწერა ილია ჭავჭავაძემ, ლუარსაბ თათქარიძის სახით.

თამარის დროს, ქვეყანა ყვაოდა და წარმოიდგინეთ, როცა არაფერი ხარ და ვარდები ყველაზე დიდ უბედურებაში, ეს უნდა რუსეთს და ადამიანების უმეტესობას ქმედების ეშინია, ეზარება... ევროპა და დემოკრატიის პროცესი ხომ შეუჩერებელია! გაჩერდები და მაშინვე ჩაიძირები...

– ბატონო გია, რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი პარადიგმა ასეთია: „ევროპა გვრყვნის“...

– რამდენი ისტორიული ძეგლი აღადგინეს რუსებმა საქართველოში? – არც ერთი, პირიქით – გაანადგურეს. ახლა შეხედეთ, რამდენი ისტორიული ძეგლის რესტავრაცია დააფინანსა ევროპამ? რომელი ერთი ჩამოვთვალო: ჯვარი, ნიკორწმინდა, ატენის სიონი, ყინწვისი, გურჯაანის ყველაწმინდა... არ მინდა, რომელიმე გამომრჩეს. ქართველობას რომ გვართმევდნენ, ასეთ საქმეებს არ დააფინანსებდნენ.

ჩემს ახალგაზრდობაში, ქალებთან „გასეირნება“ თუ გინდოდა, რუსეთში მიდიოდი, რუსეთში „ვვაჟკაცდებოდით“ ბიჭები, რადგან ქართველი გოგონები უფრო კდემამოსილები იყვნენ. რუსეთი იყო გარყვნილების ბუდე და არა – ევროპა!

აბა, ევროპაში ნახეთ, როგორი კულტია ოჯახის! არაფერი გარყვნილების მსგავსი არ ხდება, ყველაფერი ეს, ყურით მოთრეულია და პროპაგანდის ნაწილია, რომელიც აქტიურად მუშაობს. თურმე, რუსია ოჯახური ტრადიციების დამფასებელი! როგორი აბსურდია, არა?! გარყვნილების კერაა და გაიძვერობის! ევროპელობა რთულია, მაგრამ აუცილებელია, რადგან ჩვენი გადარჩენა ევროპაშია.

თუ გინდა, რომ ევროპელი იყო, დემოკრატია და სამართალი გქონდეს, ყოველთვის უნდა იღვაწო, დავით აღმაშენებლის გზით უნდა იმოძრაო და არა – ლუარსაბ თათქარიძის.

ლუარსაბ თათქარიძეობა სიბელწეა, ჩვენ კი ჯანმრთელი ერი ვართ!

მაკა რუხაძე

როგორი იყო სამედიცინო სერვისების უწყვეტობა პანდემიის დროს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა – რა ხარვეზები გამოვლინდა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პანდემიის პერიოდში სამედიცინო სერვისების უწყვეტობით დაინტერესდა. 2020 წლის 11 მარტიდან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ, ახალი კორონავირუსით – COVID-19-ით გამოწვეული დაავადების გავრცელების პანდემიად გამოცხადებამ და საპასუხო ღონისძიებების საჭიროებამ, საფრთხის ქვეშ დააყენა მოსახლეობისათვის საბაზისო სამედიცინო სერვისების უწყვეტობა. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად ეფექტიანი იყო ჯანდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები COVID-19-ის პანდემიის პირობებში, ბენეფიციართათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების დროული და სრული მიწოდების მხრივ.

რა თქმა უნდა, აუდიტის შედეგად ხარვეზები გამოვლინდა, რაც იმით იხსნება, რომ პანდემიის დროს ძირითადი აქცენტი კორონავირუსის მართვაზე კეთდებოდა. თუმცა, ვიდრე აუდიტის დროს გამოვლენილ ხარვეზებს გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ საქართველოში, კორონავირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა, 21 მარტს კი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომელიც იმავე წლის 23 მაისს დასრულდა.

შეზღუდვები დაწესდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, შეიზღუდა გადაადგილება და საკარანტინე ზონად გამოცხადდა რამდენიმე ტერიტორიული ერთეული.

2020 წლის 28 ნოემბრიდან, განახლდა შეზღუდვები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, მრავალი ობიექტის საქმიანობის, მოქალაქეების 21.00 საათის შემდეგ გადაადგილებისა და სხვა აქტივობების მიმართულებით, რაც მომდევნო შვიდი თვის განმავლობაში გაგრძელდა.

ხარვეზები ჯანდაცვის სერვისების უწყვეტობაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2020-2021 წლებში, შემცირდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეთა რაოდენობა. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N213 დადგენილებაში შესული ცვლილების მიუხედავად, სამედიცინო მომსახურების დისტანციური წესით განხორციელების შესახებ, დაწესებულებებმა პროგრამის მოსარგებლეების მხოლოდ მცირე ნაწილს შესთავაზეს ეს შესაძლებლობა:

„2019 წელთან შედარებით, ბენეფიციართა ზრდის პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდა დიაბეტით დაავადებული პაციენტების რაოდენობა – 27.7%-ით, რომელთაც 2020-2021 წლებში ისარგებლეს მათთვის განსაზღვრული ამბულატორიული სერვისებით. კლების ტენდენცია შეიმჩნევა პროგრამებით მოსარგებლე იშვიათი დაავადებების მქონე – 43.5%-ით და C-ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების რაოდენობაშიც – 27%-ით. ამბულატორიული სერვისით მოსარგებლეთა შემცირების მიუხედავად, დიაბეტის პროგრამის ფარგლებში გაიზარდა მედიკამენტის მიმღებთა რაოდენობა, რაც მიუთითებს ამ სერვისის საჭიროებაზე. ბავშვთა შაქრიანი დიაბეტისა და იშვიათი დაავადებების ამბულატორიული მომსახურების, ასევე, ანტენატალური სერვისით მოსარგებლე 225 გამოკითხულიდან 186 მიუთითებს, რომ მათთვის სამედიცინო დაწესებულებას არ შეუთავაზებია დისტანციურად გაევლოთ ექიმთან კონსულტაცია. სააგენტოს მხრიდან არ შემუშავებულა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების მიღების დისტანციურ შესაძლებლობას“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, 2021 წლის მაისში, დამტკიცდა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმა – „ჯანდაცვის სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება და გადაუდებელი მზადყოფნა COVID-19-ის შემდგომი ტალღებისათვის“, სადაც განისაზღვრა ჯანმრთელობის დაცვის რიგი სერვისები, რომელთა უწყვეტობა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. აღსანიშნავია, რომ მითითებული სერვისები ჯანმოს მიერ განსაზღვრული იყო 2020 წლის 26 მარტს გამოქვეყნებულ გზამკვლევში, ხოლო მათი მიწოდების გზები დეტალურად გაიწერა 2020 წლის 1 ივნისის რეკომენდაციებში.

„აუდიტის შედეგად გამოვლინდა რისკი, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ბავშვების პროგრამის ბენეფიციარები მათთვის განსაზღვრულ სამედიცინო კონსულტაციას არ იღებენ პროგრამაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთან მაშინ, როდესაც სერვისის ღირებულება დაფარულია სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან, არსებობს რისკი იმისა, რომ სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სერვისის მიმწოდებლის მიერ მათი გადამისამართება ხდება სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც ექიმის კონსულტაციის ხარჯს თავად ბენეფიციარები ფარავენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსარგებლეები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას პროგრამით გათვალისწინებული სერვისების შესახებ“.

ხარვეზები უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში

აუდიტის პერიოდში, არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო, ჯანდაცვის სამინისტრო და რეგულირების სააგენტო უმეტესად კონცენტრირებულნი იყვნენ ე.წ. კოვიდსტაციონარულ დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე. შედეგად, მცირეა სხვა ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებათა რიცხვი, სადაც უსაფრთხოების წესების დაცვით, ზედამხედველობა განხორციელდა.

„2020-2021 წლებში, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მიმწოდებლად ჩართული დაწესებულებების მცირე ნაწილში (2020 წელს – 0.8%, 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით – 4.5%) შემოწმდა სანებართვო და მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული პირობების დაცვა. 2021 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, რეგულირების სააგენტოს მიერ განხორციელდა მონიტორინგი 15 სამედიცინო დაწესებულებაში, რომ-

დასასრული მე-7 გვერდზე

როგორი იყო სამედიცინო სერვისების უწყვეტობა პანდემიის დროს

მე-6 გვერდიდან

ლებიც ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებლები იყვნენ. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამ დაწესებულებაში არ ხდებოდა არაინფიცირებული და კოვიდით ინფიცირებული ნაკადების გამიჯვნა (?!). უსაფრთხოების პრობლემაზე მიუთითებს აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითხული ბენეფიციარების 21%, რომელთაც 2020-2021 წლებში, უარი თქვეს მომსახურების მიღებაზე კოვიდით ინფიცირების რისკების არსებობის გამო".

იმუნიზაციის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პერინატალური (მშობიარობის შემდგომი სამედიცინო მომსახურება) სერვისის მიმწოდებელთათვის, მინისტრის ბრძანებით, დამატებით განისაზღვრა უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეკომენდაციები. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ინფექციის კონტროლის მონიტორინგი განხორციელდა მხოლოდ პერინატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, რომელიც არ მოიცავდა გაცემული რეკომენდაციების სრულად შემოწმებას.

აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითხულ ბენეფიციართა უმეტესობა მიუთითებს, რომ ანტენატალური (ორსულის სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანა) ვიზიტების დროს, სამედიცინო დაწესებულებაში უსაფრთხო გარემო ნაწილობრივ იყო უზრუნველყოფილი და კლინიკები არ ახდენდნენ ვიზიტის წინასწარ დაგეგმვას, მიუხედავად სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციისა!

ხარვეზები საზოგადოებასთან კომუნიკაციაში

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ 2020-2021 წლებში, ბენეფიციართა მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებულობის კუთხით, საბაზისო სერვისების უწყვეტად მიწოდების შესახებ, სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მხრიდან განხორციელდა არასაკმარისი აქტივობები: 2020 წელს C-ჰეპატიტისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად არ არის ათვისებული. აუდიტორების მტკიცებთ, დაბალი იყო იმუნიზაციის აპლიკაციის მომხარებელთა რაოდენობა, რომელიც შეიქმნა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების მიზნით, ბენეფიციარებისა და მათი მშობლებისათვის.

„ქვეყანაში რეგისტრირებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის შემთხვევების მაღალი რაოდენობის მიუხედავად, დაბალია ბენეფიციართა მიმართვის მაჩვენებელი კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელ ხაზზე, რომელიც 2021 წელს განკუთვნილი იყო სატელეფონო პროფესიული ფსიქოლოგიური დახმარებისათვის.

ანტენატალური მომსახურების მოსარგებლე გამოკითხულთა ნახევარს არ დაუკავშირდა სამედიცინო დაწესებულება და არ მიაწოდა რეკომენდაციები COVID-19-ის პანდემიის პირობებში უსაფრთხოებისა და სამედიცინო დაწესებულებასთან ურთიერთობის წესების შესახებ".

შინაგან საქმეთა სამინისტროს უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაცია ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამუშაო ვიზიტით, უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილის, აზიზბეკ იკრამოვის ხელმძღვანელობით ეწვია.

სამ დღიანი ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრებზე მხარეებმა ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული ურთიერთობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. სტუმრებმა ყურადღება გაამახვილეს ქართული მხარის მიერ გაზიარებული ინფორმაციისა და გამოცდილების მნიშვნელობაზე. უზბეკეთის ოფიციალური დელეგაციის წევრები ასევე ეწვივნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ერთიანი მომსახურების ცენტრს, მომსახურების სააგენტოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-ს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს. შეხვედრების ფარგლებში, სტუმრები სამინისტროს დანაყოფების მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ და ხელმძღვანელი პირებისგან ინფორმაცია მიიღეს უწყებაში განხორციელებული რეფორმების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა, უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, აზიზბეკ იკრამოვმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვახტანგ გომელაურთან გამართა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმების გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ვიზიტის დასასრულს, დელეგაციის ხელმძღვანელმა ქართულ მხარეს მადლობა გადაუხადა გამოცდილების გაზიარებისთვის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია საპასუხო ვიზიტით უზბეკეთის რესპუბლიკაში მიიწვია.

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ორი პირი, ერთს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1995 წელს დაბადებული ე.ნ. და 1995 წელს დაბადებული თ.ხ. ჯგუფურად ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს, ხოლო 1995 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ მ.ფ.-ს ბრალი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის დაუსწრებლად წარედგინა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 11 ივნისს, თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ე.წ. „ახალ აღმაშენებელზე" მდებარე ერთ-ერთ ბარში, რამდენიმე პირს შორის დაწყებული ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და ბარის მიმდებარე ტერიტორიაზე გაგრძელდა. აღნიშნული დაპირისპირების დროს, ბრალდებულმა მ.ფ.-მ ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი პირი – 1989 წელს დაბადებული ჯ.უ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების დროს, სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო ჩხუბში მონაწილე კიდევ სამმა პირმა – 1998 წელს დაბადებულმა მ.ც.-მ, 1995 წელს დაბადებულმა ა.მ.-მ და 1990 წელს დაბადებულმა რ.დ.-მ. მათ შესაბამისი პირველადი სამედიცინო დახმარება კლინიკაში გაეწია.

ოთხივე დაშავებული მამაკაცი ამჟამად მკურნალობას სახლში განაგრძობს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული პირების იდენტიფიცირება ცხელ კვალზე, მომხდარიდან მალევე მოახდინეს, მოგვიანებით კი ორი პირი თბილისში დააკავეს, ხოლო ერთს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. ნივთმტკიცებად ამოღებულია ხმოვანი პისტოლეტი.

ინციდენტში მონაწილე ყველა პირის დადგენისა და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით, ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები.

ჯგუფურად ჩადენილ ხულიგნობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე, 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით.

რა შეცვალა კულინარიულმა შოუმ „მასტერშეფის“ ფინალისტის ცხოვრებაში

„ცოტა „ცუდი“ პერსონაჟი ვიყავი, მაგრამ ზღვა ემოციები მივიღე და სრულიად სხვა პიროვნებად ჩამოვყალიბდი“

ნია გრიგალაშვილი

კულინარიული შოუ საქართველოში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამგვარი შოუები ძირითადად რეიტინგზეა ორიენტირებული, თუმცა მონაწილეებს კარიერულ განვითარებასა და დასაქმებაშიც უწყობს ხელს. მაგალითად, „მასტერშეფის“ რამდენიმე მონაწილემ ამ სფეროში თავი უკვე დაიმკვიდრა და დღეს საკმაოდ ცნობილი კულინარიული ბლოგერი ან შეფ-მზარეულია, ბევრი მათგანის ცხოვრებაზე კი ინფორმაციას არ ვფლობთ. გამომდინარე იქიდან, რომ კარგ მზარეულებზე საქართველოში მოთხოვნა დიდია, საინტერესოა, როგორ აგრძელებენ ცხოვრებას, იღებენ თუ არა მსგავსი გადაცემების მონაწილეები შემოთავაზებებს რესტორნებიდან და რაში ეხმარებათ მათ შოუში მიღებული გამოცდილება? – „ვერსია“ მასტერშეფის ერთ-ერთ ფინალისტს, მარიკა კოპალიანს ესაუბრა.

– მარიკა, ამჟამად რას საქმიანობთ, კულინარიის სფეროში ხართ დასაქმებული?

– კულინარიის სფეროში ირიბად ვარ. ახლა ძალიან კარგ პროექტზე ვმუშაობ, რომელსაც ჰქვია „მოედანი“. პიაცას ტიპის სივრცე იხსნება ავლაბარში, სხვადასხვა კონცეფციის 20-მდე რესტორნით. გვინდა, რომ მხოლოდ ტურისტებზე არ იყოს გათვლილი და ძირითადად, თბილისელები იყვნენ ჩვენი სტუმრები. ეს სივრცე 1 დეკემბერს გაიხსნება, იდეის ავტორები ქართველი ინვესტორები არიან, მე განხორციელებაში ვარ ჩართული.

– „მასტერშეფში“ მონაწილეობის შემდეგ, შემოთავაზებებს იღებდით რესტორნებიდან?

– სამზარეულოში არასდროს მიმუშავია, მაქვს ტურისტული სააგენტო, თუმცა „მასტერშეფის“ დასრულებამდე და შემდეგაც, ხშირად ვიღებ შემოთავაზებებს. ამ სფეროთი იმიტომ დავინტერესდი, რომ ძალიან მინდა ჩემი რესტორანი გავხსნა. სწორედ ამ სურვილის განხორციელებისკენ მიდის ჩემი გეგმებიც.

– რა გამოცდილება, შთაბეჭდილებები და ემოციები დაგიტოვათ შოუმ?

– მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ვიყავი, დრო ისე სწაფად გავიდა, გააზრებაც ვერ მოვასწარი. ამას მხოლოდ შოუს დასრულების შემდეგ მივხვდი. „მასტერშეფამდე“ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვის აზრს, ყველაფერი გულთან მიმქონდა და განვიცდიდი, შემდეგ კი ყველაფერი გადავაფასე, რამაც უფრო გამაძლიერა. შეიძლება ცხოვრებაში ვერსად მიიღოთ ის გამოცდილება და ემოციები, რაც „მასტერშეფშია“. ფინალის ემოციები არასდროს დამავიწყდება, რუსოს გამარჯვებამ ისე გამახარა, მარტო ამ ემოციისთვის ღირდა მონაწილეობა, სხვა ადამიანის წარმატებას რომ იზიარებ და გაბედინერებს. ასეთი შოუ საქართველოში მეორე არ გვაქვს. დღეს რომ ვიღებდე მონაწილეობას, ბევრად უფრო გავიაზრებდი ყველაფერს და შევირგებდი. ნადმვილად აღარ ვინერვიულებდი, რომ მცოდნოდა, ბოლოს ასეთი შთაბეჭდილებები და მარტო დადებითი ემოციები დამრჩებოდა.

– რას ურჩევდით მათ, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება მსგავს კულინარიულ შოუში?

– როგორც წესი, ადამიანები საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ არ ვაფასებთ. ამიტომ გაბედეთ, გადადგით ეს ნაბიჯი და მიიღეთ მონაწილეობა. არავინ იცის, ვინ რას გააკეთებს, ვინ როგორ განვითარდება. „მასტერშეფის“ უმაგრესი გუნდი ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან, თავის ცოდნასა და გამოცდილებას მუდმივად გაგიზიარებენ.

კარგი საქმის კეთებასთან ერთად, კარგი დროსტარებაც გელოდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა „ცუდი“ პერსონაჟი ვიყავი, ახლა რომ ვიღებდე მონაწილებას, ისევ იქ ვიქნებოდი. ზღვა ემოციები და გამოცდილება მივიღე იმ სამი თვის განმავლობაში, სრულიად სხვა პიროვნებად ჩამოვყალიბდი. ის, რომ ვიღაც „კარგი ტიპი“ ჩანს, ვიღაც – ცუდი ან საყვარელი, ეს არის შოუს ნაწილი. იქ ცუდი ადამიანები არ არსებობენ და ამან არ შეგაშინოთ. პირველ რიგში, შეიძენთ 11 უმაგრეს ადამიანს მონაწილეების სახით, რომელბიც თქვენი უახლოესი მეგორები გახდებიან. შემდეგ არის მასტერშეფის გუნდი, შეფები, პროდიუსერები, ოპერატორები, ჟურნალისები, დასუთავების თანამშრომლები, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ყველა საოცარი და ძალიან კარგი ადამიანია. უპირატესობას არავის ანიჭებენ და ყველასთან ინდივიდუალურად მუშაობენ. ყველასთან მეგობრული დამოკიდებულება აქვთ.

– ზოგს ასეთ გადაცემებში მონაწილეობის მიღების დიდი სურვილი აქვს, თუმცა ეშინია, რომ არ აქვს გამოცდილება, არ ფლობს კულინარიულ განათლებას და არ იცნობს უცხოურ სამზარეულოს. ასეთ შემთხვევაში, მაინც ღირს მონაწილეობა?

– შეიძლება, არაფერი იცოდე კულინარიაში, მაგრამ გემოებს ისე სვამდე და ისეთი ხედვა გქონდეს, რომ ბევრ პროფესიონალს აჯობო. ხშირად შემდგარი მზარეულები ვერ გადადიან ტურიდან ტურში, როგორც დილეტანტები. განა იმიტომ, რომ დილეტანტებს ანიჭებენ უპირატესობას? – უბრალოდ, როცა რაღაც არ იცი, სულ სხვანაირად აკეთებ და მეტს ბედავ, შესაბამისად, მეტად გიფასდება. რა თქმა უნდა, არც მე ვიყავი პროფესიონალი. „მასტერშეფის“ მიმდინარეობისას, კულინარიაზე რამდენი წიგნი წავიკითხე და რამდენ რამეს ვუყურე, ვერ გეტყვით.

„მასტერშეფი“ მარტო კერძების სწორად მომზადება არაა, აქ ძალიან ბევრ რამეს სწავლობ და დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას იღებ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ტურისტული სეზონისთვის მზადაა – სეზონური მაშველები წელს გაზრდილი ხელფასით იმუშავებენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2022 წლის ზაფხულის სეზონისთვის მზადყოფნა დაასრულა. ბათუმში ტურისტული სეზონისთვის მზადყოფნას სამსახურის უფროსი, თეიმურაზ მღებრიშვილი პირადად გაეცნო და მაშველებს წარმატება უსურვა.

სეზონის გახსნის ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძეც დაესწრო.

ღონისძიების ფარგლებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, გამოფენილი იყო როგორც სახმელეთო, ასევე, საზღვაო სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა. ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ, ადგილზე მოეწყო წყალზე სამაშველო ოპერაციის სიმულაცია, რომელშიც პირად შემადგენლობასთან და სპეციალურ ტექნიკასთან ერთად, ჩართული იყო საფრენი აპარატი დრონი.

2022 წლის საზღვაო სეზონზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, ზღვის, მდინარეებისა და ტბების სანაპირო ზოლებზე, ევროპული სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 320 მეხანძრე-მაშველი იმუშავებს, გარდა ამისა, მობილიზებული იქნება 50 ერთეული მცურავი საშუალება და 8 კვადროციკლი. შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, სეზონური მაშველები წელს გაზრდილი ხელფასით იმუშავებენ, წინა წლებთან შედარებით, ისინი 25%-ზე მეტი თანხით მომატებულ შრომის ანაზღაურებას მიიღებენ.

სამართალი

№24 22 ივნისი 2022 წ

ფრთხილად: ბინებში, რომელიც დღიურად ქირავდება, ფარული ვიდეოთვალია დამონტაჟებული

ვინ არის ბიჭი, რომელიც მოქალაქეებს შიშველი ვიდეოების გავრცელების მუქარით ფულს სძალავდა

ბათო ჯაფარიძე

დანაშაული, რომელზეც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. თანამედროვე ეპოქაში, როცა ინტერნეტით, პრაქტიკულად, ყველაფრის შეძენა შეიძლება, ადამიანების ნაწილი ფანტაზიას გასაქანს აძლევს და ცდილობს, ფული არცთუ კანონიერი გზით იშოვოს. ალბათ, ყველამ იცის, რომ პრაქტიკულად, ყველგან ქირავდება ბინა დღიურად. ფასი 50 ლარიდან იწყება და აპარტამენტები 200-300 დოლარიც კი ღირს დღეში. ჰოდა, ამ ბინებს დღიურად ძიროთადად ის ადამიანები ქირაობენ, ვისაც შეხვედრების ადგილი არ აქვთ, არ სურთ სასტუმროში მისვლა და პასპორტების ფრიალი. ასე უფრო მარტივია: დარეკე, გამოართვი გასაღები, გადაუხადე და...

ჰოდა, ერთ-ერთ ასეთ ბინაში მეგობარ გოგონას პოლიციის მაღალჩინოსანი შეხვდა. ერთი შეხედვით, არანაირი კრიმინალი, კაცი თავისუფალია, ქალიც და მათ ერთად ყოფნა სურდათ, თუმცა შეხვედრიდან მესამე დღეს, პოლიციის მაღალჩინოსანს ტელეფონზე შეტყობინება მიუვიდა, სადაც გასაგებად ეწერა, რომ თუ ის 5 ათას დოლაარს არ გადაიხხდიდა, ვიდეოს, რომელიც საშხაპეში იყო გადაღებული, მთელი საქართველო ნახავდა და ვიდეო ინტერნეტში ვირუსულად გავრცელდებოდა. აღნიშნულ ისტორიას სწორედ პოლიციის მაღალჩინოსანი მიყვება და მომხდარს ღიმილით იხსენებს.

„ერთი შეხედვით, არც ვიდეოში იყო რამე, ჯერ მე ვიღებდი შხაპს, მერე – ჩემი მეგობარი ანუ საშხაპეში ერთად არ შევსულვართ, მაგრამ მაინც არაა სასიამოვნო, შენი შიშველი სხეული და ის, როგორ ბანაობ, ნახევარმა საქართველომ ნახოს. მივხვდი იმასაც, რომ ბინის მეპატრონემ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და მთავარი ეჭვმიტანილი სწორედ ბინის მეპატრონე იყო, რადგან გამორიცხული გახლდათ, მის გარეშე ვინმეს ბინაში ვიდეოთვალი დაეყენებინა“, – გვიყვება პოლიციელი.

თანაც, კლიენტის ტელეფონი სწორედ ბინის მეპატრონეს ჰქონდა და ძალოვანს ბევრი არ უფიქრია, სწორედ მას დაადგა. ბინას 50 წლამდე ქალბატონი აქირავებდა და როცა პოლიციელმა მას მკაცრად მოსთხოვა სხვა ფაილების ჩვენებაც, ქალმა პირი დააღო, რას ამბობ, მაგას როგორ ვიკადრებდი, საციხედ თავს არ გავიხდიდიო. მან თქვა, რომ ბინა თავადაც ნაქირავები ჰქონდა, თვეში გარკვეულ თანხას იხდიდა და შემდეგ დღიურად აქირავებდა. მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ საშხაპეში შესაძლოა ვიდეოთვალი ყოფილიყო დამონტაჟებული. პოლიციელმა ბინის მეპატრონის მონაცემები ჩაიწერა და ახლა მას დაადგა.

ბინის მეპატრონე არანაკლებ გაოცებული დარჩა, რა ვიდეოთვალი და საშხაპეში შიშველი ხალხის გადაღება და ფულის გამოძალვა, ბინა 2 წელზე მეტია, გაქირავებული მაქვს, ვინც იქირავა, საკეტიც კი შეცვალა და მე პრეტენზია არ მქონიაო. საკეტის შეცვლა დამქირავებელმაც დაადასტურა და ისიც თქვა, მეპატრონეს გასაღები არ მოუთხოვიაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბინის მეპატრონე საქმეში ვერ იქნებოდა, 2 წლის განმავლობაში ვიდეოთვალს, ყველაზე კარგ შემთხვევაში, გაწმენდა დასჭირდებოდა, რადგან საშხაპეში ორთქლი თავის საქმეს აუცილებლად გააკეთებდა და როგორი ხარისხისაც უნდა ყოფილიყო აპარატურა, საშხაპეში ორი წლის განმავლობაში უპრობლემოდ ვერ იმუშავებდა.

„ვიდეოთვალის მოხსნა არ მინდოდა, რადგან გამომძალველი დაინახავდა, რომ ვხსნიდი და შესაძლებელი იყო, ინტერნეტში ვიდეო აეტვირთა. ამიტომ, უნდა გამეგო, ვინ იყო და ფულის გადაცემა გადავწყვიტე“, – გვეუბნება პოლიციის მაღალჩინოსანი.

ფულის გადაცემის დროს დამნაშავის აყვანის შესაძლებლობა გამოირიცხა. როგორც ჩანს, გამომძალველმა საქმე კარგად იცოდა. ამიტომ, მან პოლიციის მაღალჩინოსანს უთხრა, 5 ათას დოლარად კრიპტო ვალუტა იყიდე, საერთაშრისო სავალუტო ბირჟაზე შედი და იქიდან ოფშორულ ზონაში გადმომირიცხეო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გამომძალველს ვერანაირად იპოვნიდნენ. საჭირო იყო, რამის მოფიქქრება და სამართალდამცავმა ბინის მეპატრონეს რამდენიმე კლიენტის ნომერი გამოართვა და მათგან ყველაზე შეძლებული ორი აარჩია, თანაც გამომძალველს შეუთვალა, დრო მჭირდება ფულის მოსაგროვებლად, ყველაზე დიდი, ერთ კვირაში ჩაგირიცხავო. ბინის კლიენტებიდან ერთმა თავი გაიგიჟა, რა გამოძალვა, არაფერი ვიცი, არც იმ ბინაში ვყოფილვარო, მეორემ კი ალალად აღიარა, 10 ათასი მთხოვა და 8 ათასი გადავიხადე, ცოლ-შვილი მყავს და აბა, რა უნდა მექნაო. სქემა ამ შემთხვევაშიც იგივე იყო და ხელმოსაჭიდი არაფერი.

„ისევ იმ ქალთან მივედი, ვინც ბინას აქირავებდა და ვუთხარი, ხომ არ იყო მის კლიენტებში ისეთი ვინმე, ვინც ხშირად ქირაობდა ბინას და რაც მთავარია, მისი წასვლის შემდეგ, იქაურობა არეული არ იყო. ქალს ბევრი არ უფიქრია, მყავს ასეთი კლიენტი, ახალგაზრდა ბიჭია და როცა მიდის, ლოგინი კი არეულია, მაგრამ დამლაგებელი მეუბნება, ლოგინში არავინ წოლილა, თეთრეული სუფთააო. ჰოდა, ამ ბიჭის მონაცემები ავიღე და თვალთვალი დავიწყე“, – გვიყვება პოლიციელი.

თვალთვალის დროს, პოლიციელმა გამომძალველს ვირტუალურ ჩატში შექმნილ ანგარიშზე დაურეკა და დაინახა, რომ ბიჭმა უპასუხა. საუბარი რამდენიმე წამს გაგრძელდა, ხოლო როცა ძალოვანმა ტელეფონი გათიშა, ბიჭმაც გათიშა. ცხადი იყო, გამომძალველი იპოვეს, მაგრამ მისი დაკავება ფაქტზე იყო საჭირო. ამიტომ, თვალთვალი გაგრძელდა და პარალელურად, ძალოვანმა ბინის მეპატრონეს სთხოვა, აბანოში თითქმის მთელი დღის განმავლობაშ, დამლაგებელმა ცხელი წყალი მოშვებული დატოვოს, რომ იქაურობა კარგად დაიორთქლოსო. ასეც მოხდა და მეორე დღესვე ბიჭმა ბინა იქირავა, ადგილზე მარტო მივიდა და ბინაში შესვლიდან 15 წუთში, კარი სამართალდამცავმა შეაღო. ბიჭს აბაზანაში საჰაერო დაშლილი ჰქონდა, იქიდან საკმააოდ მაღალი ხარისხის ვიდეოთვალი ამოეღო და გულდასმით, სპეციალური სითხით წმენდდა. ბედის ირონიით, კამერა იმავე სახლის ინტერნეტზე იყო შეერთებული და კვებასაც ადგილობრივი დენის წყაროდან იღებდა. პოლიციელის დანახვაზე ბიჭი დაიბნა და იყვირა, თუ მომკლავ, ვიდეო ინტერნეტში მაინც აიტვირთებაო, მაგრამ როცა მოსულმა გაიღმა, მიხვდა, მის მოკვლას არავინ აპირებდა.

„იდეა ცოტა ხნის წინ მომივიდა. კომპიუტერული პროგრამები კარგად ვიცი და იმ ბინიდდან გამოსულებს ვყარაულობდი, ავტომობილის ნომერს ვიგებდი, მერე კი დანარჩენ მონაცემებსაც. სწორედ ავტომობილის მარკით ვწყვეტდი, ვის რამდენი უნდა გადაეხადა. თუ წყვილი საზოგადოებრივი ტრანსპორტით იყო მოსული, საერთოდ არაფერს ვართმევდი“, – აღიარა მან.

ახლა საჭირო იყო, ვინმეს საჩივარი დაეწერა, ამის გაკეთებას კი არავინ აპირებდა. ეს იმის მიუხედავად, რომ ბიჭმა 11 დაზარალებულის სია დადო. 11-დან სამმა არ გადაიხადა, რაც გინდა, ის ქენიო და რაც მთავარია, ბიჭი ცდილობდა პირები არა ინტიმური ვიდეოებით, არამედ, მარტივი, შიშველი ვიდეოებით დაეშანტაჟებინა, რათა დაკავების შემთხვევაში, უფრო მსუბუქი სასჯელი მიეღო. ჰო, ის იმასაც ვარაუდობდა, რომ შესაძლებელი იყო, დაეკავებინათ. დაზარალებულებიდან არცერთს გამოუთქვამს სურვილი საჩივარი დაეწერა და პოლიციამ ისევ ბინის გამქირავებელს მიაკითხა და დააწერინა, რომ საშხაპეში შემთხვევით ვიდეოთვალი აღმოაჩინაა, მიუთითა სავარაუდო დამნაშავეზეც და ბიჭი ოფიციალურად სწორედ ამის საფუძველზე დააკავეს.

მართალია, გამოძიებამ ყველაფერი გამოიკვლია, მაგრამ ეჭვმიტანილს ბრალად მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება წარუდგინეს, გავრცელების მუხლი კი – ვერა, რადგან მას ერთი ვიდეოც არ ჰქონდა გავრცელებული და მეტიც, მის კომპიუტერში არ ინახებოდა ინტიმური სახის ვიდეოები, თურმე, ასეთ ვიდეოებს მაშნვე შლიდა.

ამის მიუხედავად, დაკავებულს სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა და საბოლოოდ, მას სამწლიანი პატიმრობა „დაუჩაქუჩეს“.

ბათო ჯაფარიძე

ეჭვიანმა ქმარმა აფხაზეთის ომის თვითმარქვია ვეტერანი მოკლა

სამაჩაბლო და აფხაზეთი – დღემდე მოურჩენელი ორი იარა, რომელიც არ შეხორცებულა და არც მაშინ შეხორცდება, როცა საქართველოს მიწებს დავიბრუნებთ. არ შეხორცდება იმიტომ, რომ ათასობით საჯიშე ბიჭი შეიწირა უთანასწორო ომმა, ისინი, რომლებიც სამშობლოს დასაცავად გულანთებულები წავიდნენ, რომლებმაც იცოდნენ, რომ იქ ერთადერთი რამისთვის – საქართველოსთვის, სამშობლოსთვის მიდიოდნენ. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში წარმოებული ბრძოლები ინახავს უამრავ ისტორიას გმირებისას, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ მეგობრების გადასარჩენად, თითო გოჯისთვის ეომებოდნენ მტერს და მაშინაც კი, როცა იცოდნენ, რომ სიკვდილი ელოდათ, უკან არ იხევდნენ.

სამწუხაროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ომის წინა ხაზზე კი არა, ზურგში მიდიოდნენ ანუ იქ, სადაც უსაფრთხოდ იქნებოდნენ, ხელში ავტომატს დაიკავებდნენ, სურათებს გადაიღებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. შემდეგ კი, თანატოლებში სურათებს აფრიალებდნენ, მე იქ ვიბრძოდი, გმირი ვარო. ის ბიჭები კი... ნამდვილი გმირები... ზოგის ფოტოც კი არ შემორჩენილა საბრძოლო მოქმედებებიდან... მათ არ ეცალათ პოზიორობისთვის, ისინი იბრძოდნენ... ბიჭების უმრავლესობამ უკან მხოლოდ ჭრილობები ჩამოიტანეს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ქართველთა დოვლათი გამოზიდეს, მხოლოდ ძვირფასეულობა კი არა, მანქანა მიაყენეს და ავეჯიც კი წამოიღეს. ეს მაშინ, როცა იმ ავეჯისა თუ ძვირფასეულობის პატრონები ჭუბერის ცივ და სუსხიან გზაზე იყვნენ შემდგარნი და არ იცოდნენ, ჩავიდოდნენ თუ არა ცოცხლები ადგილამდე...

აფხაზეთის ომის შემდეგ, დანარჩენი საქართველო დევნილებით გაივსო. ეს განსაკუთრებით თბილისში შეინიშნებოდა და თითქმის ყველა ცდილობდა, მათთვის ხელი გაემართა, სადმე დაებინავებინა, შეღავათი მიეცა. მაშინ არც ქვეყანას ულხინდა და ბევრს ვერაფერს სთავაზობდა დევნილებს და ისინიც ხან თვითნებურად იკავებდნენ მიტოვებული საწარმოებსა თუ სასტუმროებს, ხანაც რუსთაველზე, ხელისუფლებას სთხოვდნენ შველას...

„ღამის სამ საათზე, სახლის ტელეფონზე დამირეკეს და მითხრეს, რომ თბილისში მამაკაცი მოკლეს. არეული დრო იყო და მკვლელობა არავის უკვირდა, მაგრამ როცა მითხრეს, მოკლული აფხაზეთის ომის ვეტერანიაო, ავნერვიულდი. კაცი იქ გადარჩა და აქ, თითქოს მშვიდობიან ქალაქში მოკლეს. მაშინვე ჩავიცვი და შემთხვევის ადგილისკენ წავედი. გარდაცვლილს დანა ჰქონდა დარტყმული და არც გამკვირვებია, წინააღმდეგობა რომ ვერ გაუწია მკვლელს – ხელის მტევანი ჰქონდა მოწყვეტილი. სავარაუდოდ, ომში დაკარგა. ის საკუთარი კორპუსის წინ მოკლეს და დილით მეზობელმა იპოვა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილი გულდასმით დაათვალიერეს და მოშორებით, დაახლოებით, 20 მეტრში, მედალი ნახეს. ასეთ ჯილდოებს აფხაზეთში ნაბრძოლ ბიჭებს აძლევდნენ და ისინიც ან სათუთად ინახავდნენ, ან სიაამაყით ატარებდნენ. მეორე დღეს, ამ მედალზე ექსპერტიზა იტყვის, რომ გარდაცვლილის თითის ანაბეჭდები იყო, თუმცა მედალს მეორე მხარეს ქსოვილის ნაგლეჯი ჰქონდა შერჩენილი, ეს ქსოვილი კი გარდაცვლილის ერთ სამოსსაც არ ემთხვეოდა.

ძალოვნები მოკლულის მეზობლებთან წავიდნენ, ყველამ გამოიტირა, უწესიერესი ბიჭი იყო, ცდილობდა, ლუკმა-პური თავისით ეშოვა, ხელებში არავის უყურებდა და მეგობარიც ჰყავდა, ჯარის ძმაკაცი, სულ ერთად დადიოდნენ, ხან რას აკეთებდნენ, ხან – რასო. გამომძიებლებმა მეგობარიც ნახეს, რომელიც ახალმა ამბავმა იმდენად დაზაფრა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. მერე კი მოყვა:

„გუშინ ერთ კაცს ავეჯის გადაზიდვაში ვეხმარებოდით. გაგვიმასპინძლდა და მაყვლის ღვინო დაგვალევინა, ფულიც გვაჩუქა, როგორც წესი, შუაზე გავყავით, მერე, სახლში წასვლამდე კიდევ დავამატეთ სასმელი და დავიშალეთ. დავინახე სადარბაზოში როგორ შევიდა და მეც სახლისკენ წავედი. მანამდე კი ვიღაცას ეჩხუბა. მე გასული ვიყავი, როცა დავბრუნდი, ვიღაცასთან გაწევ-გამოწევა ჰქონდა, ის ყვიროდა, შენისთანებმა დაღუპეს ქვეყანა და გაგვიტეხეს სახელიო, ძლივს დავაშოშმინეთ, გავაგდეთ, სხვებიც მოგვეხმარნენ, ცალხელა კაცს, ომის ვეტერანს, როგორ უბედავ ცემასო და ისიც წავიდა“, – თქვა მეგობარმა.

სამართალდამცავებმა ძალიან კარგად იმუშავეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მათ გაიგეს, ვინ იყო პირი, ვისთანაც გარდაცვლილს ჩხუბი მოუვიდა და ის საკუთარ სახლში დააკავეს.

„ვაღიარებ: მე მოვკალი. უფრო ზუსტად, შემომაკვდა, მაგრამ ვერ მოვითმინე. ვერ მოვითმინე ის, როცა დავინახე კაცი, რომელიც ამბობდა, რომ აფხაზეთში იბრძოდა და დაასახელა ის დრო და ადგილი, სადაც ჩემი ბატალიონი იდგა, ის კი არ მახსოვდა. არადა, როცა კაცი ბრძოლაში ხელს კარგავს, უნდა გახსოვდეს. ვუთხარი, იტყუები-მეთქი, ვიძიძგილავეთ და სახლში მოსულმა აღმოვაჩინე, რომ ჩემი მედალი, სისხლით მოპოვებული ჯილდო აღარ მქონდა, მკერდიდან ჩამომგლიჯა, ალბათ, ძიძგილაობის დროს. სახლის მისამართი გავიგე და დაველოდე, სანამ მოვიდოდა. გვიან მოვიდა, მეგობარი ახლდა, დაემშვიდობნენ და სადარბაზოში შევიდა. შევყევი და ვთხოვე, მედალი დამიბრუნე, შენი არაფერი მინდა-მეთქი. გარეთ გამოვედით, სკამზე ჩამოვსხედით და იქ მომიყვა, რომ აფხაზეთში საბრძლველად გულანთებული წავიდა, თუმცა პირველივე დღეს, „ლიმონკის“ კაფსულა აუფეთქდა ხელში, მტევანი დაკარგა და მისი ომიც იქ დასრულდა. ასაღებდა, ვითომ იბრძოდა, არ იყო ცუდი ბიჭი, საქართველო მიყვარსო, ამბობდა. მერე ჩემი მედალი ამოიღო ჯიბიდან, დახედა და რატომღაც შორს მოისროლა. გავბრაზდი და ფეხი სახეში ჩავარტყი. მოწყვეტით დაეცა, მე ჩემი მედლის ძებნა დავიწყე, ვერ ვიპოვე, მოვბრუნდი და დავინახე, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. მივხვდი, შემომაკვდა და წავედი“,-დაასრულა მოყოლა დაკავებულმა.

გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს, ეჭვმიტანილი თითქოს გულწრფელად საუბრობდა, მაგრამ ერთხელაც არ უხსენებია მკვლელობის იარაღი დანა. ამიტომ, პირდაპირ ჰკითხეს, დანა როგორ დაარტყი და მკვლელობის იარაღი სად არისო? დაკავებულმა გაოცებისგან პირი დააღო, რა დანა, მხოლოდ ფეხი დავარტყი, დანა არ მიხმარიაო. გაოცება იმდენად გულწრფელი იყო, სამართალდამცავები მიხვდნენ, ის მკვლელი არ იყო, თუმცა წინასწარი დაკავების იზოლატორში მაინც გაუშვეს.

„ისე გამოვიდა, რომ ცხელ კვალზე დანაშაულის გახსნა ვერ მოხერხდა და ამიტომ, გრძელვადიან მოქმედებებზე გადავედით. უნდა შეგვესწავლა გარდაცვლილის გარემოცვა, სანათესაო, ხომ არ ჰქონდა ვინმესთან წარსულში კონფლიქტი. თანაც, თავდაცვის სამინისტრომაც დაგვიდასტურა, რომ ის რეალურად ვეტერანი არ იყო და ერთი დღეც არ უბრძოლია. ბიზნესი არ ჰქონდა, ვინმესთვის რომ გზაზე გადაერბინა და მკვლელობა თითქოს შემთხვევითსაც ჰგავდა, ვიღაცამ დაინახა გათიშული და დანა დაარტყა. ასეთებიც ხდებოდა მაშინ, გასართობად ვხოცავდით ერთმანეთს ქართველები“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რადგან მოკლულს ყველაზე კარგად მეგობარი იცნობდა, ის ახლიდან დაკითხეს და მანაც ჩუმად თქვა, გათხოვილ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ სახიფათო არაფერი იყო, იმ ქალის ქმარი ციხეშია და სასჯელს იხდისო. გადაამოწმეს და გაარკვიეს, რომ კაცი, რომელიც ციხეში უნდა ყოფილიყო, მკვლელობამდე სამი დღით ადრე ე.წ. უდო-თი გამოუშვეს. ის სახლში არ მისულა და ცოლმა არც კი იცოდა, გათავისუფლებული რომ იყო, თუმცა... ერთ-ერთმა მეზობელმა თქვა, რომ მკვლელობის დღეს, სახლთან ახლოს დაინახა, მაგრამ მან სახე აარიდა, თითქოს ვერ იცნო. მასზე ძებნა გამოცხადდა და ეჭვმიტანილს სოფელში მიაგნეს.

სამართალდამცავების დანახვისთანავე მან გაქცევა სცადა, რაც აღიარების ტოლ-ფასი იყო.

„ციხეში გავიგე, რომ ცოლი მღალატობდა. ისიც ვიცოდი, ვისთან და დასჯა გადავწყვიტე. სახლთან გვიანობამდე ვყარაულობდი და რომ დაბრუნდა, ვიღაცასთან უთანხმოება მოუვიდა. იმ ვიღაცამ ისეთი ძალით დაარტყა, გათიშა და რაც მთავარია, მერე ეგონა, რომ მოკლა. ყველაფერ ამას ახლოდან ვვუყურებდი, ხის უკან ვიყავი დამალული. როცა ის წავიდა, ერთი მხრივ, გამიხარდა, რომ ჩემი გასაკეთებელი სხვამ გააკეთა, მეორე მხრივ კი, გული დამწყდა, მე რომ ვერ დავსაჯე. ჯიბიდან დანა ამოვიღე და დავარტყი. დარწმუნებული ვიყავი, რომ უკვე მკვდარი იყო, მაგრამ ბოლო გაფართხალება სწორედ დარტყმის შემდეგ ჰქონდა. დანა გადავაგდე, მე კი სოფელში წავედი. დარწმუნებული ვიყავი, თუ ვინმეს იპოვნიდნენ, ეს სწორედ ის კაცი იქნებოდა, რომელიც მას ჩემამდე გაუსწორდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

რაღა თქმა უნდა, ის ციხეში შეაბრუნეს და... მხოლოდ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს ძალიან ბევრი ადამიანი ცდილობს, ახალ საცხოვრებელ სახლში ბუხარი მოიწყოს. დღეს ბუხრის ოსტატები ბევრნი არიან, მაგრამ ადრე ასე არ იყო, ხელობა ცოტამ იცოდა და რაც მთავარია, კორპუსებში ბუხარს იშვიათად შეხვდებოდით, უფრო ძველ შენობებს ჰქონდა, თუმცა სოფლებში ბუხარი ჩვეულებრივმა, რკინის „ფეჩმა“ ჩაანაცვლა. ახლა კი ბუხარი ერთგვარი აუცილებელი ატრიბუტია და შინ, მაგალითად, მეხუთე თუ მეექვსე სართულზე, მწვადის შეწვა ნაკვერჩხალზე წარმოუდგენელი აღარ არის.

ქურდობების სერია, „ნაკოლშჩიკი“ მებუხრე და ობოლი გოგონა

როგორ გავიდნენ სამართალდამცავები ორგანიზებული ბანდის კვალზე

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ადრე ასე არ იყო-თქო. ბუხარი ვისაც სურდა (და ის, ძირითადად, შეძლებულ ჩინოვნიკებს სურდათ), ნორმალური ხელოსანი კარგა ხანს უნდა ეძებნა. იყო კიდეც ძალიაან, ძალიან კარგი ხელოსანი, მაგრამ ავარიაში მოჰყვა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა და ოთხწლიან სასჯელს იხდიდა. ამის მიუხედავად, ციხის ადმინისტრაციას გავლენიანი ჩინოვნიკები ხშირად მიმართავდნენ და ბუხრის ოსტატი ციხიდან ჩუმად გაჰყავდათ. ისიც, ხან 4 და ხან 5 დღეს სხვადასხვა ჩინოვნიკის ბინაში ცხოვრობდა, კარგს სვამდა, კარგს ჭამდა, ჯამაგირსაც იღებდა, შინაც აგზავნიდა და გაქცევაზე არც ფიქრობდა. თავად ციხის ადმინისტრაციამაც იცოდა, რომ ყველაზე უწყინაარი პატიმარი არსად გაიქცეოდა და ხშირად მეთვალყურესაც არ უტოვებდა. ბუხრის ოსტატი ჩინოვნიკების ცარიელ სახლში, როცა საქმეს მორჩებოდა, ტელეფონზე რეკავდა, წამიყვანეთ, დავასრულეო. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ოფიციალურად აკრძალული გახლდათ, მაგრამ ჩინოვნიკები ერთმანეთს მარტივად უყვებოდნენ ასეთ ამბებს და ციხის ადმინისტრაციასთან ზარის განხორციელებაც არ იყო დიდი პრობლემა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ...

მილიციის განყოფილებაში შეტყობინება შევიდა, წყნეთში, ერთ-ერთ სახლში ქურდობის დროს, მეპატრონეები დაბრუნდნენ და ქურდობა ყაჩაღობაში გადაიზარდა. თავდამსხმელებმა ბინის მეპატრონე და მისი დისშვილი, ახალგაზრდა გოგონა ლამის სასიკვდილოდ სცემეს. განსაკუთრებით მძიმედ მამაკაცი იყო, გოგო, ასე თუ ისე, მსუბუქად გადარჩა, თუმცა მისი დაკითხვა მხოლოდ მეოთხე დღეს მოხერხდა.

„სახლში დათქმულზე ერთი საათით ადრე დავბრუნდით. თეატრში ვიყავით, მაგრამ თავბრუ დამეხვა და ბიძაჩემმა აღარ დამტოვა, წამოვედით. შინ კი ასეთი ამბავი დაგვხვდა. მეგონა, გული წამივიდოდა, რადგან დაახლოებით, ათი წლის წინ, ჩემი მშობლები სწორედ ყაჩაღობის დროს მოკლეს და ბიძასთან მას შემდეგ ვცხოვრობ. გული არ წამსვლია, წინააღმდეგობაც კი გავუწიე, მაგრამ თავში მძიმე საგანი მომხვდა. ბიძაც, როგორც ვიცი, მძიმე საგნით გათიშეს. სულ სამნი იყვნენ, იმ ორის არ ვიცი და მე რომელსაც ვეჩხუბებოდი, დაწვრილებით აღვწერ“, – თქვა გოგონამ.

ძალოვნებისთვის ცხადი გახდა, კრიმინალები საქურდად იყვნენ შესულნი და ნიღბებიც ამიტომ არ ჰქონდათ, რაც ყველაზე საინტერესოა, მათ მთელი სახლი კი არ დააყენეს ყირაზე, არამედ, ზუსტად ის უჯრა და კარადა ჰქონდათ გაღებული, რომელშიც ძვირფასეულობა ინახებოდა. სამართალდამცავებმა ისიც გაიხსენს, რომ ეს უკვე მეათე თუ მეთორმეტე შემთხვევა იყო, როცა ქურდები ბინას ისე ასუფთავებდნენ, ზედმეტ მოძრაობას, პრაქტიკულად, არ აკეთებდნენ ანუ მათ ჰყავდათ ძალიან კარგი „ნაკოლშიკი“, მაგრამ ვინ? ერთადერთი, რაც ამ სახლებს აერთიანებდა, ის გახლდათ, რომ ყველას მფლობელი შეძლებული იყო და ყველგან კედელში ჩაშენებული გახლდათ... ბუხარი.

გამომძიებლებმა ბუხრის ოსტატი მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ ყველა მათგანი ერთმა და იმავე ადამინმა გააკეთა და ის კაცი ისევ სასჯელს იხდიდა. ამიტომ, მისი დაკითხვა არ გასჭირვებიათ. მებუხრე, რომელიც ყველას უწყინარი პატიმარი ეგონა, მოულოდნელად, კრიმინალებისთვის საქმის მიმცემი აღმოჩნდა.

„როცა პირველად წამიყვანეს ბუხრის გასაკეთებლად, ძალიან ბედნიერი ვიყავი. უკან რომ დავბრუნდი, საკანში მოვყევი, სამეფო ოჯახი იყო, ასეთი არასოდეს მინახავს-მეთქი. მესამე დღეს ერთი გამცოდილი კრიმინალი მოვიდა და მთხრა, შენი მისამართი ვიცი, ცოლ-შვილის სახელებიც ვიცი და თუ გინდა ცოცხლები დაგხვდნენ, ყველა სახლი, სადაც ბუხარს გააკეთებ, უნდა აღმიწერო, მისამართი უნდა მთხრა, სად რა დგას, სქემა უნდა დამიხაზოო. შემეშინდა, ძალიან შემეშინდა. მართალია, მაღალჩინოსნების სახლებს ვაკეთებდი, მაგრამ ამ კრიმინალმა მითხრა, რომ ჩამიშვა, შენ აქ მოგკლავენ და იმათ კიდევ გარეთო. ამიტომ, ვხაზავდი და ვუყვებოდი ყველაფერს, რაც შემეძლო. ის რამდენიმე თვის წინ გათავისუფლდა და მეტი არაფერი ვიცი“, – ასეთი იყო მებუხრის მონაყოლი.

ძალოვნებმა ეჭვმიტანილის სავარაუდო ადგილსამყოფელის დადგენა დაიწყეს და მალევე მიაგნეს. ის კიდევ ორ რეციდივისტთან ერთად, ქალაქგარეთ, პატარა სახლში ცხოვრობდა, ისეთში, რომელზეც იერიშის მიტანა დღისით ძნელი იქნებოდა. ამიტომ, დაღამებას დაელოდნენ და სპეცოპერაციაც ჩაატარეს. აყვანის დროს, ერთ-ერთი კრიმინალი შეიარაღებული გაწევის დროს მოკვდა, მეორე – დაიჭრა, მესამე კი უვნებელი ჩაუვარდათ ხელში. მთავარი იყო, რომ ბანდის მეთაური, რომელიც დაჭრილი გახლდათ, გადარჩებოდა და სწორედ მას უნდა დაედასტურებინა მებუხრის მონაყოლი. გადარჩენილი ის იყო, რომელსაც გოგონამ გაუმართა ბრძოლა და ის ამოცნობაზე წაიყვანეს. რაღა თქმა უნდა, გოგომ თავდამსხმელი მაშინვე ამოიცნო და შეუცდომლად დაადო ხელი, მერე კი მაგიდაზე დაყრილ სურათებს დახედა და გული წაუვიდა.

ძალოვნებმა ჩათვალეს, რომ ის გადაიღალა და ყაჩაღთან შეხვედრამ ბოლო მოუღო, აზრზეც მალე მოიყვანეს და იქვე დივანზე წამოაწვინეს, თუმცა გოგომ მაგიდისკენ გაიწია, იქ დადებული სურათებიდან ერთ-ერთს ხელი დაადო და იკითხა – „ეს ვინ არის?!“

„ეს ბანდის მეთაურია, ყველაზე სტაჟიანი და გამოცდილი რეციდივისტი. სავარაუდოდ, ისიც გეცნოთ, თვალს მოკრავდით იმ დღეს, გონებამ კი ახლა აღიქვა და გულიც ამიტომ წაგივიდათ. დაჭრილია, საავადმყოფოში წევს, მაგრამ გადარჩება და გადავარჩენთ იმისთვის, რომ ციხეში ხანგრძლივი დროით გავუშვათ“, – უთხრა გამომძიებელმა და გოგონამაც თავი დააქნია.

საქმე გახსნილი გახლდათ, დაკავებულთა ბუნაგიდან ძალოვნებმა, პრაქტიკულად, ყველა ბინიდან მოპარული ნივთები ამოიღეს და მფლობელებს დაუბრუნეს. საქმე სასამართლოზე უნდა გადაცემულიყო და მარტო ის გახლდათ გასარკვევი, რა როლი ექნებოდა საქმეში მებუხრეს და დაუმატებდნენ თუ არა სასჯელს. ამ დროს კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა – საავადმყოფოში მყოფ დაჭრილ კრიმინალს თავს მედდა დაესხა და დანით სამი ჭრილობა მიაყენა. ყვირილზე ბადრაგი შევარდა და... გამომძიებელი ადგილზე მალე მივიდა და პირველი რაც გააკეთა, მთავარ ექიმს მაგიდაზე მუშტი უბრახუნა, როგორ გაბედა შენმა თანამშრომელმა და დაჭრილს დანა როგორ დაარტყაო, რაზეც ექიმმა მიუგო, ეს გოგო ჩემი თანამშრომელი არ არის, პირველად ვხედავ, პალატაშ მედდის ხალათში გადაცმული შეიპარაო.

გამომძიებელი მეორე ოთახში შევიდა, სადაც გოგონა ჰყავდათ დაკავებული და ხელში... სწორედ ის ქალიშვილი შერჩა, რომელიც ბინის ქურდების ბოლო მსხვერპლი იყო და რომელმაც დამნაშავე ამოიცნო. გამომძიებელმა გაოცებისგან პირი დააღო.

„თქვენს მაგიდაზე დაყრილ სურათებს რომ დავხედე, ის პირი ვიცანი, ვინც ჩემი მშობლები დახოცა. მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ამის სახეს რა დამავიწყებს. გამომძიებლებსაც ვუყვებოდი, თუმცა არავინ მომისმინა, ბავშვია, ემოციებშიაო. და ამ კაცს ვეძებდი ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ ვერ ვნახულობდი. ახლა კი ვიპოვე და მივხვდი, ეს ჩემი შანსი იყო. ძალიან დამწყდება გული, თუ ის გადარჩება“, – მშვიდად თქვა გოგონამ.

იმის მიუხედავად რომ გოგო ამტკიცებდა, მშობლები სწორედ ამ კაცმა დამიხოცაო, დაკავებულს ვერაფერი დაუმტკიცეს, გარდა ბინების ქურდობისა. ის საქმე კვლავ გაუხსნელი დარჩა და მართალია, სერიულ ქურდობებსა და ყაჩაღობაზე დაკავებულებს 11-11 წელი ერგოთ, ისე გამოვიდა, რომ ბანდის მეთაურს რეალურად მკვლელობა შერჩა, თუმცა შერჩა კი? მას ციხიდან გამოსვლა აღარ ეწერა, რადგან ტუბერკულოზით სამ წელიწადში გარდაიცვალა. მებუხრეს რეალური სასჯელი არ დაუმატეს, პირობითი აკმარეს. ზუსტად ისევე, როგორც გოგონას, რომელსაც ეჭვმიტანილზე თავდასხმის გამო, სამწლიანი პირობითი სასჯელი დააკისრეს.

პოლიციამ აჭარაში ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი: 1989 წელს დაბადებული გ.ი., წარსულში ნასამართლევები: 1998 წელს დაბადებული გ.ბ. და 2001 წელს დაბადებული ნ. ბ. ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 1988 წელს დაბადებულ ე.მ.-ს თანხას სძალავდნენ.

ე.მ., ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, პარაპლანების გაქირავებით კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, ბრალდებულებმა ძალადობის გამოყენებით, ასევე, სიცოცხლის მოსპობისა და პარაპლანების წართმევის მუქარით, მიღებული შემოსავლის გაყოფას სთხოვდნენ.

სამართალდამცველების მიერ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და კომპლექსური საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებები ჩატარდა, რის შედეგადაც დადასტურდა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ, ე.მ.-ის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებები.

პოლიციამ სამივე პირი სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, აჭარაში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

ჯგუფურად ჩადენილ გამოძალვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ გორში ეკლესიის გაქურდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2003 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ვ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გორში, წმინდა მამა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი გაქურდა, შესაწირის ორი ყუთიდან ფული მოიპარა, ასევე, უკანონოდ დაეუფლა სანთლის გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას.

ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ ქუთაისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლებს აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 16 ივნისს, ქუთაისში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელს – 1979 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით, სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გ.მ. ბრალდებულის სახით ქუთაისში დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ რუსთავში სამი პირის დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული ლ.ვ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, ურთიერთშელაპარაკებისას, სამი პირი – 1992 წელს დაბადებული გ.ა., 1988 წელს დაბადებული ლ.შ. და 1994 წელს დაბადებული ლ.ხ. დანის გამოყენებით დაჭრა, შემდეგი კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი სამი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ლ.ვ. ცხელ კვალზე დააკავეს.

სამი პირის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

1995 წელს დაბადებული კ.მ. დაკავებულია ძალადობის ორგანიზების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, ხოლო 1996 წელს დაბადებული გ.მ. და 2004 წელს დაბადებული შ.ჭ. – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.

დანაშაულები 6-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ ბრალდებულს, კ.მ.-ს, ნათესავთან – 1993 წელს დაბადებულ კ.მ.-სთან უთანხმოება ჰქონდა. მიმდინარე წლის 17 ივნისს, ბრალდებული კ.მ., აღნიშნული ნათესავისთვის ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით, მეგობრებს – გ.მ.-ს, შ.ჭ.-სა და დ.მ-ს შეხვდა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მან თანამზრახველებს გადასცა ხელკეტი, პირბადეები, ქურთუკები და ერთ-ერთი ბრალდებულის კუთვნილი ავტომობილით მივიდნენ კ.მ.-ის საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ დ.მ.-მ 1993 წელს დაბადებულ კ.მ.-ს ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში მიაყენა ჭრილობა, რის შემდეგაც დაჭრილმა კ.მ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დ.მ. დაჭრა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, კ.მ. საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა. რაც შეეხება მკვლელობაში მხილებულ დ.მ.-ს, იგი ამ დრომდე საავადმყოფოში იმყოფება, სადაც სამართალდამცველთა მეთვალყურეობით განაგრძობს მკურნალობას.

დანაშაულში ბრალდებული სამივე პირი სამართალდამცველებმა მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ხელკეტი და ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 225-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით.

ევროთასების წინ, „დინამომ“ მწვრთნელი გაუშვა

ევროპული კლუბები ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებიან. მათ შორის არიან ქართული გუნდებიც და მათი მეტოქეების ვინაობაც გასულ კვირას გაირკვა. მოქმედი ჩამპიონით დავიწყოთ – ბათუმის „დინამოს“ მეტოქე ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკეთის ჩემპიონი „სლოვანი“ იქნება, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი, ვლადიმირ ვაისი ავარჯიშებს და რომლის ღირსებასაც ჩვენი ეროვნული გუნდის ყოფილი და მოქმედი კაპიტნები – ჯაბა კანკავა და გურამ კაშია იცავენ. შედეგად, სლოვაკურმა კლუბმა ძალიან კარგად იცის ქართული ფეხბურთის ძლიერი და სუსტი მხარეები და სამწუხაროდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „სლოვანთან“ ორ-რაუნდიან დაპირისპირებაში აჭარლებს მთავარი კაცი, ხვიჩა კვარაცხელია არ ეყოლებათ. მოგეხსენებათ, ქართველმა შემტევმა კონტრაქტი „ნაპოლისთან“ გააფორმა და 1 ივლისს, უკვე იტალიური კლუბის განკარგულებაში უნდა იყოს. პირველი მატჩი კი 6 ივლისს არის, საპასუხო – 13 ივლისს. არის კიდევ ერთი ნიუანსი – 10 ივლისს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში იტალიას მასპინძლობს და მატჩი ბათუმის არენაზე ჩატარდება. ჰოდა, რაგბის კავშირმა ითხოვა, ეგებ, ბათუმელებმა პირველი შეხვედრა შინ ჩაატარონ, რადგან 10 ივლისს მოედანი ისეთ დღეში ჩავარდება, 13 ივლისამდე აღდგენა ვერ მოხერხდებაო. არადა, საპასუხო შეხვედრის შინ ჩატარება ერთგვარი უპირატესობაა, ზუსტად იცი, რა ანგარიში გჭირდება და ამიტომ, საფეხბურთო კლუბი კატეგორიულ უარზეა, რამე შეცვალოს. ჩვენ თუ გვკითხავთ, „დინამო“ მართალიცაა, რადგან საფეხბურთო მატჩი ოფიციალურია, სარაგბო – ამხანაგური და ეგებ, მორაგბეთა შეხვედრა გადავიტანოთ სხვა სტადიონზე.

ცუდ დღეშია საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის „დინამო“. დედაქალაქელებს კონფერენს ლიგაზე მეტოქედ ესტონური „პაიდე“ ერგოთ და ერთი შეხედვით, ბალტიისპირელები დაუძლეველ ბარიერად არ ჩანან, მაგრამ ორიოდე დღის წინ, „დინამომ“ მთავარი მწვრთნელი, კახი ცხადაძე გაუშვა და მის ნაცვლად, გიორგი ჭიაბრიშვილი დანიშნა. ცხადაძეს წყალტუბოში, „სამგურალთან“ მარცხი არ აპატიეს და გაუშვეს. არადა, სეზონის წინ, სწორედ თბილისურმა კლუბმა დააანონსა ამბიციური გეგმა თუ პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ღერძი სწორედ ცხადაძე იყო, მაგრამ... იმედია, ჭიაბრიშვილი მოახერხებს და მოკლე დროში გუნდის სქემას ისე ააწყობს, „დინამომ“ „პაიდეს“ ბარიერი რომ დასძლიოს.

იმავე კონფერენს ლიგაზე, გორის „დილას“ მეტოქე ფინური „კუპოიო“ იქნება და გორელების სათამაშო ფორმის გათვალისწინებით, არ ჩანს ეს ბარიერი დაუძლეველი. ალბანური „პარტიზანი“ შეხვდა თბილისის „საბურთალოს“ და ამ გადმოსახედიდან, ოთხივე ქართულმა კლუბმა უნდა შეძლოს პირველი ბარიერის გავლა. მართალია, ყველაზე რთული მეტოქე ბათუმურ გუნდს ჰყავს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ სავალი გზა ია-ვარდით მოფენილი რომ არ იქნებოდა, ცხადი იყო.

ერთი ფოტოს ისტორია

რამდენიმე კვირის წინ, ხაშურში თანამედროვე სტანდარტების სტადიონი გაიხსნა. როცა თანამედროვე სტანდარტებს ვამბობთ, მოედნის საფარს, ტრიბუნებზე სკამების კომფორტულობასა და ზოგადად, მოწყობილ ინფრასტრუქტურას ვგულისხმობთ, თორემ ისე, აღნიშნულ სტადიონზე არც ათი ათასობით გულშემატკივარი ეტევა და არც ჰაი-კლასის ლუქს-განათებაა. ბევრი ამბობდა, რად უნდა ხაშურს ასეთი სტადიონიო და უნდა. უნდა იმიტომ, რომ ადგილობრივი კლუბი „ივერია“ საქართველოს რანგით მეხუთე ლიგაში თამაშობს და ამის მიუხედავად, ტრიბუნები მუდმივად სავსეა – ადგილობრივი ქომაგი კლუბს მხარს მხურვალედ უჭერს.

ასე იყო გასულ უქმეებზეც, „ივერია“ მეხუთე ლიგის მორიგ ტურში „გლდანს“ მასპინძლობდა და სტადიონი გაივსო. ფოტოც მაშინ გავრცელდა, როცა დავარცხნილ საფარს მშვენებად სავსე ტრიბუნები ჰქონდა ფონად, თუმცა... შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და ერთ-ერთ ეპიზოდში, ფეხბურთელები წაკინკლავდნენ. რომელიღაც გულშემატკივარმა ტრიბუნიდან მოედანზე შუშის ბოთლი ისროლა. გლდანელთა კიპერმა გადაწყვიტა, ბოთლი უკან, ტრიბუნებზე დაებრუნებინა და მოიქნია კიდეც, მაგრამ უხერხულად და „ივერიას“ ფეხბურთელს შუბლში მოარტყა. ბოთლი შუბლზე დაიფშვნა და ფეხბურთელს საავადმყოფოში ნაკერებიც დაადეს. ამ ინციდენტის დანახვისთანავე, ლამის, მთელი ტრიბუნა სტადიონზე შევარდა და მსაჯმა მატჩი აღარ გააგრძელა. შეხვედრა ჩაიშალა და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ამ სტადიონს დისკვალიფიკაცია მისცენ და „ივერიას“ რამდენიმე შეხვედრის ჩატარება ცარიელი ტრიბუნების წინაშე მოუხდეს.

ბაზაძე ევროპის ჩემპიონი გახდა

ესეც ასე – ქართველი მოფარიკავე, სანდრო ბაზაძე ევროპის ჩემპიონია. ანტალიაში გამართულ პირველობაზე, ქართველმა მოფარიკავემ ძალიან მაღალ დონეზე იასპარეზა და რაც მთავარია, ოლიმპიადაზე განცდილი მარცხისთვის რევანშიც აიღო. უნგრელი არონ სილაგი, რომელმაც სანდრო ტოკიოში დაამარცხა, ჩვენებურს ამჯერადაც გადაეყარა და უშანსოდ წააგო. ფინალში კი ბაზაძემ იტალიელ ლუკა კურატოლის დამაჯერებლად – 15:11 სძლია.

ცნობისთვის, ევროპის ჩემპიონატებზე სანდროს აქამდე ბრინჯაოს სამი მედალი ჰქონდა მოპოვებული, ოქრო კი პირველად მოიპოვა. ამ გამარჯვებით, ბაზაძე მსიოფლიო მოფარიკავეთა რეიტინგში 179 ქულით მესამე ადგილზე გადავიდა. მის წინ მხოლოდ სამხრეთ კორეელი იუნგჰვან კიმი (200 ქულა) და ის უნგრელი არონ სილაგია (194 ქულა), რომელიც სანდრომ ამ პირველობაზე დაამარცხა.

ძალამიძე ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა

29 წლის ჩოგბურთელზე, ნათელა ძალამიძეზე, ალბათ, ცოტას გსმენიათ. საქმე ის გახლავთ, რომ ნათელა ერთეულთა თანრიგში დიდი შედეგებით ვერ დაიკვეხნის, აი, წყვილთა თანრიგში კი ერთ-ერთ წარმატებულ ჩოგბურთელად ითვლება და მსოფლიო რეიტინგში, მეწყვილესთან ერთად, 44-ე ადგილზეც იმყოფება. დიდი მუზარადის ტურნირებიდან ბოლოს, „როლან გაროსი“ გაიმართა და ძალამიძე ამ ტურნირზე რუსეთის სახელთ გამოდიოდა. ის მოსკოვშია დაბადებულ-გაზრდილი და კარიერის განმავლობაში, ყველგან რუსეთის სახელით ასპარეზობდა.

წინ დიდი მუზარადის ყველაზე პრესტიჟული, „უიმბლდონის“ ტურნირია და ძალამიძე მასზეც დარეგისტრირდა, ოღონდ ამჯერად, საქართველოს სახელით. დიახ, ნათელა ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა და მსოფლიო რეიტინგში, მისი გვარის გასწვრივ, ახლა ქართული დროშა ანთია. როგორც დიდი გალაკტიონი წერდა: – „წინანდალელი ნათელა, ულამაზესი ქალია, ო, ჩემო ციცინათელა, ჩემო ციხე და გალია“...

ზუროსმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის ემზადება. გუნდის თავკაცმა, ილიას ზუროსმა ბიჭები თბილისში, 17 ივნისს შეკრიბა და ინტენსიურად ამზადებს. ჩვენი გუნდი 1 ივლისს, უკრაინას, გასაგებ მიზეზთა გამო, რიგაში ესტუმრება, 4 ივლისს კი თბილისში, ესპანეთს ვუმასპინძლებთ. ზუროსმა მატჩებისთვის 22 კალათბურთელი გამოიძახა (10 ეროვნული ჩემპიონატიდან, 12 – ლეგიონერი) და მათგან საუკეთესო 12-ეულს შეარჩევს. შემადგენლობას თუ გადახედავთ, მიხვდებით, რომ ჩვენი გუნდი ორივე შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს და მერე რა, რომ თბილისში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს ვხვდებით.

საქართველოს ნაკრები: **გიორგი ცინცაძე, მიხეილ ბერიშვილი (ორივე თსუ), გივი ბაქრაძე, კახაბერ ჯინჭარაძე, ილია ლონდარიძე (სამივე ოლიმპი), ლუკა მაზიაშვილი (ცხუმ-აფხაზეთი), მერაბ ბოქოლიშვილი (რუსთავი), ოთარ ბულიავა (მეგა), გიორგი კორსანტია (ქუთაისი), ბექა ბექაური (ბათუმი), რატი ანდრონიკაშვილი (კრეიტონი, აშშ), თად მაკფადენი (მურსია, ესპანეთი), დუდა სანაძე (ბორაცი, სერბეთი), ნიკა მეცხვარიშვილი (ლუიზიანა, აშშ), დავით კუკუშაძე (როკჰარსტი, აშშ), ბექა ბურჯანაძე (ბეტისი, ესპანეთი), გუგა ნაცვლიშვილი (კახასიესტე, ესპანეთი), ალექსანდრე ფევაძე (გრან კანარია-2, ესპანეთი), გიორგი ტურძილაძე (ორში, საფრანგეთი), თორნიკე შენგელია (ვირტუს ბოლონია, იტალია), გოგა ბითაძე (ინდიანა პეისერსი, აშშ), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი).**

ბალაკი შარში გაეხვა

გერმანის ნაკრების ოდინდელი კაპიტანი, მიხაელ ბალაკი 45 წლისაა და კვლავ საფეხბურთო წრეებში ტრიალებს, თუმცა გასულ კვირას ისეთი რამ გახმაურდა, მასთან თანამშრომლობის სურვილი ბევრს აღარ ექნება. მაგალითად, კომპანია „ადიდასმა“ უკვე გამოაცხადა, რომ თუ აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდება, ბალაკთან ინდივიდუალურ კონტრაქტს გაწყვეტს და წლიურად მილიონ ევროს აღარ გადაუხდის. და მაინც, რა მოხდა?

შარშან, 18 წლის ასაკში, ბალაკი-უმცროსი ავტოავარიაში გარდაიცვალა. მაშინ მიხაელი მთელმა მსოფლიომ გაამხნევა, ბიჭის დაღუპვა ყოფილმა ვარსკვლავმა მძიმედ გადაიტანა, თუმცა... გასულ კვირას, მიხაელი გერმანიის სამოდელო სამყაროში ამომავალ ვარსკვლავთან, სოფია შნაიდერჰანთან ერთად შენიშნეს. წყვილი ერთმანეთს კოცნიდა და ამბავიც ამის შემდეგ ატყდა. როგორც გაირკვა, სოფია ბალაკის გარდაცვლილი შვილის მეგობარი გოგონა იყო, ისინი დაქორწინებასაც აპირებდნენ და რომ არა უბედური შემთხვევა... ბალაკის საქციელის გამართლებას ძალიან ცოტა ცდილობს, მის საქციელს კი არასწორს ძალიან ბევრი უწოდებს.

ჩვენ კი... შეგვიძლია, „მესაფლავე“ გადავიკითხოთ.

ოჯახმა უარი თქვა ტექნოლოგიებზე

ნისლიან ალბიონზე მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა ფლეტჩერებმა, რომლებიც სომერსეტის საგრაფოში ცხოვრობენ, უარი თქვეს ინტერნეტზე, თანამედროვე ავტომობილებსა და გაჯეტებზე. მათ უპირატესობა გასული საუკუნის 30-იან წლებს მიანიჭეს და ისე ცხოვრობენ, როგორც წარსულში. 58 წლის ლიზა ფლეტჩერი და მისი 55 წლის ქმარი ამ პერიოდის ცხოვრების სტილზე ოცნებობდნენ. ამ ოცნების განხორციელების გადაწყვეტილება მიიღეს და სახლი ვინტაჟურ სტილში მოაწყვეს. იმ პერიოდის მოდურ ტანსაცმელსაც იკერავენ, არ სარგებლობენ ინტერნეტით და მობილური ტელეფონებით. წყვილი უპირატესობას ანიჭებს სტაციონარულ ტელეფონს, კერძებს კი Jackson Grey-ის 1929 წელს გამოშვებულ, მომინანქრებულ ქურაზე ამზადებენ. გარდა ამისა, პროდუქტებს 1935 წლის მაცივარში ინახავენ, ტელევიზორში მხოლოდ შავ-თეთრ ფილმებს უყურებენ და ვინტაჟური ავტომობილით გადაადგილზდებიან. ცოლ-ქმარს არ აქვს არც პლასტიკური ბარათები და ყველგან ნაღდ ფულს იხდიან.

ასპირინი კიბოს წინააღმდეგ

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ასპირინის მიღება კოლორექტალური კიბოს ანუ ნაწლავის კიბოს განვითარებას აფერხებს. აღმოჩნდა, რომ ეს პრეპარატი, დროთა განმავლობაში, ცვლის სიმსივნური უჯრედების პოპულაციის ევოლუციის მეთოდს, მათ ნაკლებად სიცოცხლისუნარიანს ხდის და ხელს უშლის მათ გამრავლებას. კერძოდ, ასპირინი კიბოს უჯრედების გაყოფის სიჩქარეს აქვეითებს, ხოლო მათი სიკვდილის სიჩქარეს ზრდის. ჯერ კიდევ 2011 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც ორი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად იღებდნენ ასპირინს, 63%-ით შეუმცირდათ კოლორექტალური კიბოთი დაავადება. სხვათა შორის, ეს იმ პაციენტებს შეეხოთ, რომელთაც ლინჩის სინდრომი ჰქონდათ. ეს მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც ზრდის სიმსივნის სხვადასხვა სახეობის განვითარების რისკს.

კონტარცეპტივი... მამაკაცებისთვის

მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჩასახვის საწინააღმდეგო აბები, რაც ტესტოსტერონის დონეს აქვეითებს, ამერიკელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს. მათ კვლევაში 96 ჯანმრთელი მამაკაცი მონაწილეობდა. 28 დღის განმავლობაში, მათი ნაწილი პლაცებოს იღებდა, ნაწილი კი – პრეპარატ DMAU-სა და 11-ბეტა–MNTDC-ს, რომლებიც ტესტოსტერონს აქვეითებენ და სპერმატოზოიდების რაოდენობას ამცირებენ. უკვე ერთი კვირის შემდეგ, ექსპერიმენტის მონაწილეებში, რომლებიც პრეპარატებს იღებდნენ, ამ ჰორმონის დონე ნორმაზე ქვემოთ ჩამოვიდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ტესტოსტერონის დონის შემცირებას გვერდითი მოვლენები ახლდა თან, მონაწილეთა უმრავლესობა მზად იყო, კვლავ გაეგრძელებინა პრეპარატების მიღება. სპეციალისტების განცხადებით, მამაკაცებისთვის განკუთვნილი ეფექტური კონტრაცეფციის საშუალების შექმნა გააუმჯობესებს, როგორც კაცების, ასევე, ქალების რეპროდუქციულ შესაძლებლობას და დიდ გავლენას იქონიებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზეც: შეამცირებს არასასურველ ორსულობას და მამაკაცებს შესაძლებლობას მისცემს, უფრო აქტიური როლი შეასრულონ ოჯახის დაგეგმვაში.

აეროპორტში რობოტი-პოლიციელები მუშაობენ

ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი რობოტი-პოლიციელები იაპონიის დედაქალაქის „ნარიტას“ აეროპორტში შეუდგნენ მუშაობას. გარეგნულად „ჭკვიანი“ მანქანები 1.2 მეტრი სიმაღლის სატრანსპორტო საშუალებას მოგაგონებთ, მათში ჩამონტაჟებულ ხელოვნურ ინტელექტს წამებში შეუძლია გამოსახულების გაანალიზება, რომელსაც მათი კამერები იღებენ. იდეის ავტორების გათვლებით, რობოტებმა აეროპორტში წესრიგი უნდა გააკონტროლონ, ასევე, მოძებნონ დარჩენილი ან საეჭვო ნივთები. რობოტები დინამიკებითაც არიან აღჭურვილნი და საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ მგზავრებს ამა თუ იმ თხოვნით, ან წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებენ.

სტრადივარის ვიოლინო აუქციონზე გაყიდეს

იტალიელი ოსტატის, ანტონიო სტრადივარის მიერ შექმნილი ვიოლინო ნიუ-იორკის აუქციონზე 15.3 მილიონ დოლარად გაიყიდა. სპეციალისტების შეფასებით, ისტრუმენტი, რომელიც „და ვინჩის“ სახელითაა ცნობილი, 1714 წელს შეიქმნა. ეს პერიოდი სტრადივარის ცხოვრებაში „ოქროს ხანად“ არის ცნობილი. აუქციონის სახლის – Tarisio ცნობით, ვიოლინოს ღირებულება წინა რეკორდულ ფასს ჩამორჩა – იტალიელი ოსტატის ხემიანი ინსტრუმენტი, 2011 წელს, 15.9 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამჟამად გაყიდული ვიოლინო, 40 წლის განმავლობაში, ცნობილ ვირტუოზ მევიოლინეს, ტოშე ზაიდელიუს ეკუთვნოდა. თავის დროზე, მუსიკოსი პრინსტონის უნივერსიტეტში ისტრუმენტზე დაკვრას ალბერტ ეინშტეინსაც ასწავლიდა. მოსწავლე და მასწავლებელი კონცერტებზეც გამოდიოდნენ ერთად. „და ვინჩის“ ბოლო მფლობელი იაპონელი კოლექციონერი იყო, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა. უცნობია, ასევე, რარიტეტის ახალი მფლობელის სახელიც.

ტარაკნების „შესახლებაში“ ფულს სთავაზობენ

აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ რელიში მდებარე კომპანია 2000 დოლარს სთავაზობს მათ, რომლებიც სახლებში ასობით ტარაკანს „შეიფარებენ“. ეს პარაზიტების საწინააღმდეგო ახალი პერაპარატის ტესტირებისთვისაა აუცილებელი. მსურველების ასაკი 21 წელზე მეტი უნდა იყოს და რაც მთავარია, ჰქონდეთ საკუთარი სახლი. თუ სახლი საკუთრებაში არ აქვთ, გამქირავებლისგან წერილობითი ნებართვაა საჭირო. კვლევისთვის სულ შვიდ სახლს შეარჩევენ. მათ კი, რომლებიც ტარაკნებს „შეისახლებენ“, ერთი თვის განმავლობაში, მწერების წინააღმდეგ მხოლოდ სატესტო საშუალება უნდა იხმარონ. თუკი ამ პერიოდში გამოსაცდელი საშუალება არ გაამართლებს, კომპანია მათ ტრადიციული და გამოცდილი მეთოდებით გაანადგურებს.

უმდიდრესი ადამიანები 1.4 ტრილიონით გაღარიბდნენ

პლანეტის უმდიდრესმა ადამიანებმა წლის დასაწყისიდან დღემდე 1.4 ტრილიონი დოლარი დაკარგეს, – ასეთ შეფასებას აკეთებს Bloomberg Billionaires Index. მისი მონაცემებით, მხოლოდ ერთ დღეს – 13 ივნისს, მდიდრების ქონება 206 მილიარდი დოლარით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მასშტაბური დანაკარგი კრიპტოსავალუტო ბირჟის Binance დამფუძნებელს, ჩენპენ ჩჟაოს აქვს – მისი ზარალი 85.6 მილიარდი დოლარით შეფასდა და ახლა ჩჟაოს ქონება 10.2 მილიარდ დოლარად ფასდება. დიდი ქონება დაკარგა ილონ მასკმაც – ის 73.2 მილიარდი დოლარით გაღარიბდა და დღეისთვის, 197 მილიარდი დოლარის მფლობელია. პლანეტის კიდევ ერთი უმდიდრესი ადამიანის, ჯეფ ბეზოსის ქონება ამჟამად 127 მილიარდს შეადგენს, წლის დასაწყისთან შედარებით, ეს 65.3 მილიარდით ნაკლებია. 58.8 მილიარდი დაკარგა ფრანგმა ბიზნესმენმა, ბერნარ არნომ, დანაკარგების მიხედვით, ლიდერთა ხუთეულში მოხვდა მარკ ცუკერბერგიც – მისი ქონება წლის დასაწყისიდან 64.4 მილიარდი დოლარით შემცირდა.

გულის ქსოვილს გელი აღადგენს

მანჩესტერის უნივერსიტეტის სწავლულებმა ბიოხრწნადი გელი შექმნეს, რომელიც ინფარქტით დაზიანებულ გულის ქსოვილებს აღადგენს. მისი შეყვანა მომუშავე გულში შეიძლება, რაც უჯრედებს ახალი ქსოვილის წარმოქმნაში დაეხმარება. ინფარქტის შემდეგ, გულის უკმარისობის რისკის შესამცირებლად, ჩვეულებრივ, უჯრედების ინექცია ხდება, თუმცა დღემდე იმპლანტირებული მასალის მხოლოდ 1% ამართლებდა. ახალი ტექნოლოგიის გამოსაცდელად, მკვლევარებმა წარადგინეს, როგორ შეუძლია გელს, ხელი შეუწყოს გულის კუნთის ნორმალური ქსოვილის ზრდას. ექოკარდიოგრამებმა და ელექტროკარდიოგრამებმა დაადასტურეს გელის უსაფრთხოება. მომავალში მკვლევარები აპირებენ, ის მღრღნელებზე გამოსცადონ.

„კალმარის თამაშები“ რეალითი-შოუ იქნება

პოპულარულ სერიალ „კალმარის თამაშებზე“ Netflix-ი სატელევიზიო რეალითი-შოუს გააკეთებს, რისთვისაც მთელი მსოფლიოდან აარჩევს მსურველებს. ახალი შოუს სახელწოდებაა „კალმარის თამაში: გამოწვევა“. მასში მონაწილეობას 456 ადამიანი მიიღებს, სასწორზე კი, რა თქმა უნდა, ადამიანის სიცოცხლე ან სიკვდილი არ იქნება, როგორც ეს გახმაურებულ სამხრეთ კორეულ სერიალშია. გამარჯვებული 4.56 მილიონ დოლარს მიიღებს – სატელევიზიო შოუების ისტორიაში, ეს ყველაზე დიდი საპრიზო ფონდია. როგორც Netflix-ში აცხადებენ, შოუ ათეპიზოდიანი იქნება. მონაწილეების ასაკი 21 წლიდან დაიწყება და სავალდებულოა, თოთოეული მათგანი ინგლისურად საუბრობდეს. როგორც ვარაუდობენ, შოუს გადაღებები მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება და დაახლოებით, ერთი თვე გაგრძელდება.

Internet Explorer-მა მუშაობა შეწყვიტა

Windows 10-ის მომხმარებლებისთვის, ბრაუზერმა Internet Explorer-მა მუშაობა შეწყვიტა. ის მხოლოდ Windows 10 LTSC-ის კორპორატიულ ვერსიაში იმუშავებს, – გვატყობინებს „ასოშიეიტედ პრესი“. Microsoft-მა ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ კომპანის სხვა ბრაუზერს – Edge-ს შეუძლია ძველი ვებგვერდებისა და აპლიკაციების ასახვა, ამიტომ Internet Explorer-ის შენარჩუნების აუცილებლობა აღარ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ეს ბრაუზერი 1995 წელს გაჩნდა, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული იყო. მისი მოხმარება ბაზარზე Mozilla Firefox-ისა და Chrome-ის გამოჩენის შემდეგ შემცირდა. 2016 წელს, მისი წილი 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი დაბერების წინააღმდეგ

საუდის არაბეთის სამეფო ოჯახმა გადაწყვიტა, ყოველწლიურად, მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადოს არაკომერციულ ორგანიზაციაში Hevolution Foundation. ეს კომპანია დაბერებასთან ბრძოლის მეთოდებს ეძებს და სიცოცხლის გახანგრძლივების ტექნოლოგიებს ამუშავებს. სამეფო ოჯახის ფულით, ორგანიზაცია მსოფლიოში ყველაზე დიდი სპონსორი იქნება დაბერების მექანიზმზე მომუშავე კვლევებისთვის. ის გაანაწილებს გრანტებს გამაახალგაზრდავებელი პრეპარატების შემუშავებისა და კლინიკური ექსპერიმენტებისთვის.

„ჭკვიანი“ ბეჭედი GUCCI-ისგან

ცნობილმა ბრენდმა „ჭკვიანი“ ბეჭედი შექმნა, რომელიც თავისი ფუნქციებით ნამდვილად გასაოცარია. ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი აქსესუარი დიდი შესაძლებლობებისაა. მას შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია ყველაფერზე, რაც იცით ან არ იცით და უნდა იცოდეთ. ბეჭედი, რომლის ღირებულებაც 760 გირვანქა სტერლინგია, ყოველ დილას გაგაღვიძებთ, საღამოს – ძილის დროს შეგახსენებთ, შემოგთავაზებთ ჯანსაღ საკვებს და გეტყვით, რომ ფიტნესის დროა. „ჭკვიანი“ ბეჭედი ძვირფასი მეტალისგანაა დამზადებული და უკვე გაყიდვაშია.

სამსახურის საშოვნელად გარეგნობა შეიცვალა

26 წლის ვიეტნამელი მამაკაცი ირწმუნება, რომ საკუთარი გარეგნობა პლასტიკური ქირურგიის საშუალებით რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც გასაუბრებებზე მხოლოდ დაცინვისა და ბულინგის მსხვერპლი ხდებოდა. სოციალურ ქსელში ახალგაზრდამ ფოტოები გამოაქვეყნა და ყველა შოკში ჩააგდო, იმდენად დიდი აღმოჩნდა განსხვავება „ძველსა“ და „ახალს“ შორის. მამაკაცი ამბობს, რომ ამ განსხვავების მისაღწევად, მას ცხრა პლასტიკური ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, რაც 17 400 დოლარი დაუჯდა. ის ამჟამად საიგონში ვიზაჟისტად მუშაობს, თუმცა მანამდე, როგორც თავად აცხადებს, სამსახურს ვერ შოულობდა. გასაუბრებებზე მისულს, გარეგნობის გამო დასცინოდნენ. ოპერაციის შემდეგ კი, სახლში დაბრუნებული, მშობლებმაც ვერ იცნეს. ახალგაზრდა ვიეტნამელი გარდასახვით კმაყოფილია და ამბობს, რომ მისთვის ეს აუცილებელი იყო, თავი ძლიერად და თავდაჯერებულად რომ ეგრძნო.

მარცვლეულის პროდუქტები დიაბეტისგან გვიცავს

სპეციალისტები აშშ-ს დიეტოლოგთა ასოციაციიდან ირწმუნებიან, რომ ახალი მარცვლეულისგან დამზადებული პროდუქტები ბევრი სენისგან გვიცავს, მათ შორის, დიაბეტისა და ონკოლოგიური დაავადებებისგანაც. სწავლულებმა განაცხადეს, რომ მარცვლეულს პროფილაქტიკური თვისებები მასში არსებული დიდი რაოდენობით სასარგებლო ინგრედენტების გამო აქვს. მარცვლეულის პროდუქტებში, მაგალითად, პურსა და ბრინჯში დიდი რაოდენობით მცენარეული უჯრედისი, ფოლატი, ნიაცინი, „ბე“-ჯგუფის ვიტამინები და მაგნიუმია. ასეთი საკვების რეგულარულად მოხმარება, დიეტოლოგების განცხადებით, აღკვეთს გულსისხლძარღვთა დაავადების, შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სახეობის სიმსივნის განვითარებას. ექსპერტების გათვლებით, იმისთვის, რომ საკმარისი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებები მივიღოთ მარცვლეულისგან, ადამიანს დღეში 48 გრამი სჭირდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვცემს პროდუქტი საჭირო პროფილაქტიკურ ეფექტს, ხოლო მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკს დააქვეითებს.

მეხანძრემ ცხენს სირბილში აჯობა

დიდ ბრიტანეთში, ყოველწლიური რბოლა „ადამიანი ცხენის წინააღმდეგ“, 37 წლის მეხანძრის გამარჯვებით დასრულდა. როგორც „ბი-ბი-სი“ გვატყობინებს, ტრადიცულად, რბოლა უელსში გაიმართა. 36-კილომეტრიანი დისტანციის გავლას რიკი ლაიტფუტმა 2 საათი და 22 წუთი მოანდომა. მან რბოლაში მონაწილე 1000 ადამიანსა და 50 ცხენს აჯობა. თუმცა, ფინიშის ხაზის გადაკვეთისას, ის დარწმუნებული არ იყო გამარჯვებაში, რადგან ადამიანები და ცხოველები ცოტა განსხვავებული მარშრუტით მოძრაობდნენ. მოგვიანებით რიკიმ ჟურნალისტებთან აღიარა, რომ რბოლამდე 29 საათი არ უძინია, რადგან უელსში ტენერიფედან ჩავიდა. ყოველწლიური რბოლა 1980 წლიდან ტარდება და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ეს ადამიანის გამარჯვების მხოლოდ მესამე შემთხვევაა. რბოლის მოგებისთვის ლაიტფუტმა ჯილდოდ 3500 დოლარი მიიღო.

კოსმოსურ სასტუმროს გახსნიან

ამერიკული კომპანია Orbital Assembly Corporation, 2025 წელს, სადგურ Voyager-ის მშენებლობას დაიწყებს, რომელზეც მსოფლიოში პირველი კოსმოსური სასტუმრო განთავსდება. კომპანიის პროგნოზების მიხედვით, ოტელი ტურისტების მისაღებად უკვე 2027 წელს იქნება მზად. სადგურს დაბალ, დედამიწასთან ახლოს, ორბიტაზე განათავსებენ. მასზე ორი რგოლი იქნება: შიდა იმუშავებს, როგორც შემაკავშირებელი კვანძი, გარეთაზე კი საცხოვრებელი მოდულები, მზის პანელები, რადიატორები და სატრანსპორტო სისტემა განთავსდება. კოსმოსურ სასტუმროს 400 სტუმრის მიღება შეეძლება. გარდა ცალკეული ნომრებისა, ოტელში იქნება ბარები, რესტორნები და სავარჯიშო დარბაზიც კი. კომპანია აქტიურად ეძებს ინვესტორებს სადგურის მშენებლობისთვის. ამ დრომდე, უკვე ერთი მილიონი დოლარის მოგროვება შეძლეს.

საკვებს ჰაერიდან იღებენ

ჰაერიდან მიღებული შნიცელი ფინელი სწავლულების დამსახურებაა. სტარტაპ Solar Foods-ის მონაწილეების გამოგონებაში საკვებისთვის მთავარი ინგრედიენტი ყვითელი ფქვილია, რომელიც 65% ცილა Solein-ს შეიცავს. ფქვილი სპეციალურ ბიორეაქტორში მიიღეს, რომელშიც თხევად მიკროორგანიზმებს აქუცმაცებენ: ფერმენტერში ამატებენ წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის ნაერთს, რის შემდეგაც გამოიყოფა საკვები ნივთიერებები. მას აშრობენ და ფქვილად აქცევენ. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალში, ამ ტექნოლოგიით მიღებული პროდუქტებით პლანეტის ყველა მცხოვრების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი. ამასთან, მისი წარმოება ეკოლოგიურიცაა, რადგან ცილა Solein-ის წარმოებისთვის, „მწვანე ამიაკი“ გამოიყენება. როგორც ენერგიის წყარო, ის ცხრაჯერ მძლავრია ლითიუმ-იონურ ელემენტებზე და მისი გამოყენებისას, ნახშირბადი საერთოდ არ გამოიყოფა.

სიმსუქნეს ქრონიკული ანთება იწვევს

იაპონელმა სწავლულებმა, ტოკუსიმას უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ დნმ-ს მკვდარი ცხიმოვანი უჯრედებიდან სიმსუქნის გამოწვევა შეუძლია. მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და აჩვენეს, რომ ქსოვილების ქრონიკული ანთება ზედმეტი კილოგრამების გაჩენას იწვევს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში შესაძლო „დამნაშავე“ ცილა TLR 9-ია, რომელიც თანდაყოლილი იმუნიტეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. სიმსუქნე ანთებითი პროცესების მანიშნებელია, რომელიც ისეთი დაავადებების მიზეზი ხდება, როგორიცაა მდგრადობა ინსულინის მიმართ. ასეთი პროცესების მექანიზმები ჯერ კიდევ დიდწილად გაურკვეველია, თუმცა ახალ კვლევაში სწავლულებმა აჩვენეს, რომ დნმ-ის გამოყოფას ცხიმოვანი უჯრედებიდან – ადიპოციტებიდან, შეუძლია ანთება გამოიწვიოს.

ისლამის კრიტიკისთვის სამაგალითოდ სჯიან

საუდის არაბეთის სასამართლომ 28 წლის მამაკაცს 10 წლით პატიმრობა და 2 ათასი როზგი მიუსაჯა იმის გამო, რომ მან „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე ათეისტური შეხედულებები გამოაქვეყნა. რელიგიურმა პოლიციამ, რომელიც სოციალური ქსელების მონიტორინგსაც ატარებს, მამაკაცის გვერდზე ღმერთის არსებობის უარყოფის, ყურანის ციტატების დაცინვისა და მოციქულების მატყუარებად მოხსენიების 600-ზე მეტი „ტვიტი“ აღმოაჩინა. სასამართლოზე ახალგაზრდამ უარი თქვა მონანიებაზე და განაცხადა, რომ ის საკუთარ თვალსაზრისს გამოხატავს და ამის უფლება აქვს. გარდა სასჯელისა, არაბულმა თემიდამ მას ჯარიმის სახით, 20 ათასი რიალის (დაახლოებით, 5300 დოლარი) გადახდაც დააკისრა.

„მცურავ“ ელექტრომობილს გამოუშვებენ

იაპონური კომპანია Fomm ისეთი ელექტრომობილის გამოშვებას გეგმავს, რომელსაც გადაადგილება შეეძლება, როგორც ხმელეთზე, ასევე წყალზეც. ავტომობილმა არა მხოლოდ დატბორილ გზებზე გავლა, არამედ, მყარი ზედაპირის არასებობის შემთხვევაში, სპეციალური ფორმის ბორბლიანი დისკების დახმარებით, წყალზე მოძრაობა და მიმართულების შეცვლაც უნდა შეძლოს. მცურავი მანქანის გამოშვება სპეციალისტებმა ფუკუსიმას მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ გადაწყვიტეს. ახალი ელექტრომობილი ოთხ ადამიანზეა გათვლილი. მას საათში 80 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეეძლება. აკუმულატორი ერთ დამუხტვაზე 166 კილომეტრის გავლას უზრუნველყოფს. კომპანია, ჯერჯერობით, 5000 ელექტრომობილის შექმნას გეგმავს, რომელთაგან 20% იაპონურ ბაზარზე დარჩება. მისი შეძენა 25 ათას დოლარად იქნება შესაძლებელი.

გაიუმჯობესეთ მეხსიერება შამპანურით

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან განაცხადეს, რომ მეხსიერების შენარჩუნების ყველაზე სასიამოვნო მეთოდს მიაკვლიეს. რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებმა დაადასტურა, რომ მცირე რაოდენობით შამპანურის მიღება ააქტიურებს ტვინის იმ უჯრედებს, რომლებიც ახალი ინფორმაციის მიღებასა და ძველის შენახვაზე არიან პასუხისმგებელნი. აქედან გამომდინარე, თუკი კვირში ერთხელ, ერთ ბოკალ შუშხუნა ღვინოს მიირთმევთ, ცინცხალ გონებას შეინარჩუნებთ. ადრე სწავლულებს მიაჩნდათ, რომ ასეთი დადებითი თვისება მხოლოდ წითელ ღვინოს ჰქონდა, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს ფლავანოიდებს. მართალია, შამპანური და სხვა ცქრიალა ღვინოები მსგავს ნივთიერებებს არ შეიცავენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეხსიერებაზე მაინც საკმაოდ დადებით გავლენას ახდენენ. ამ გავლენას კი მკვლევარები სასმელში ფენოლებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების არსებობას უკავშირებენ.

კითხვა სასარგებლოა ორგანიზმისთვის



წიგნების კითხვა მეტად სასარგებლო საქმიანობაა ადამიანის ორგანიზმისთვის, – ამის შესახებ ამერიკელმა სწავლულებმა განაცხადეს, იალეს უნივერსიტეტიდან. მათ გამოკვლევა ჩაატარეს და დადგინეს, რომ კითხვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მკვლევართა თქმით, ის ადამიანები, რომლებიც წიგნების კითხვას კვირაში 3.5 საათს მაინც უთმობენ, ნაადრევი სიკვდილის რისკს 23%-ით იმცირებენ მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ კითხულობენ. წიგნები გვიხსნის სტრესისგან, რომლისგანაც იწყება დაავადებათა დაახლოებით 60%, იწვევს ინსულტს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. გარდა ამისა, კითხვა ანვითარებს მეხსიერებას და კოგნიტურ ფუნქციებს. ამასთან, იმ ადამიანებს, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, კარგად სძინავთ, რასაც ვერ ვიტყვით კომპიუტერებსა და სმარტფონებს მიჯაჭვულებზე. კითხვა ანვითარებს სოციალურ უნარებს – მკითხველები უკეთესად გრძნობენ და ესმით, რაზე ფიქრობენ სხვები.

მარათონელებმა საპონი ჭამეს

ჩინეთში, მარათონის მონაწილეებმა საპონი ჭამეს, რადგან ის ენერგეტიკული „ბატონჩიკი“ ეგონათ. გარბენი გუანდუნის პროვინციაში შედგა. შეჯიბრების მონაწილეებმა სასაჩუქრე პაკეტები მიიღეს, რომელშიც საპონიც იყო, ყურძნის არომატით. სპორტსმენებს ეს ენერგეტიკული ბატონი ეგონათ, რადგან ეტიკეტზე წარწერა მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო და გემრიელად დაიწყეს ჭამა. ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ საპნის შეფუთვა მართლაც ძალიან ჰგავდა საჭმლისას, რაც საკუთარ შეცდომად მიიჩნიეს. მარათონში 20 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მათგან სამედიცინო დახმარება 12 ათასზე მეტ მორბენალს დასჭირდა, ხოლო 23 მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, რადგან კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ვის სჭირდება სამი სამუშაო დღე კვირაში?

40 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ადამიანები კვირაში მხოლოდ სამ დღეს უნდა მუშაობდნენ, – ასეთ დასკვნებს აკეთებენ ავსტრალიელი სწავლულები. მუშაობის ასეთი რეჟიმი საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს მაღალი შრომისუნარიანობა და ასევე, არ დაიტვირთოს ორგანიზმი ზედმეტი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მოქმედებისგან. მკვლევარებმა დაკვირვება 6.5 ათას მოხალისეზე ჩაატარეს, რომელთა ასაკი 40 წელს აღემატებოდა. ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს რამდენიმე ტესტის გავლა შესთავაზეს. აღმოჩნდა, რომ უკეთესი მაჩვენებელი მათ ჰქონდათ, რომლებიც კვირაში, დაახლოებით, 25 საათს მუშაობდნენ. სწავლულთა თქმით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს შემცირებული სამუშაო კვირა სჭირდებათ. ამით თავს აარიდებენ გადაღლას და კოგნიტური უნარების დაქვეითებას, რაც შრომისუნარიანობის ამაღლებას და ხარისხიან სამუშაოს უწყობს ხელს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.